

2023

ქართული  
ინტელიტის

ქვემო  
ქვემო




ქვემო  
ქვემო

37






საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება  
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ  
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი — 1975

ქ. შატაშვილი  
საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა



თბილისი, მეთეხი


თბილისი, მეთეხი

სერია: „გაბრიელური კულტურის ძეგლები“



# ქეკელის ქეკელიძის ძეგლები

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერიის რედაქტორი — **ოთარ ჩერკეზია**  
Редактор серии — **ОТАР ЧЕРКЕЗИЯ**

რედაქტორი — **ლევან მატარაძე**  
Редактор номера — **ЛЕВАН МАТАРАДZE**

**გ ა მ რ ე ბ ის ს ა ზ ო რ ა მ ო ბ რ ი ბ ს ა წ ყ ი ს ე ბ ა ზ**

---

**სარედაქციო კოლეგია:** ირაკლი აბაშიძე, შალვა აშირანაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლშევაძე (პ/მე. შლეჟანი), ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, ირაკლი ჭაჭაბერიშვილი, ნიკო კვიციანი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, ოთარ სანთელიძე, თინათინ შვიციანი, გიორგი ჩიბანი, ვახტანგ ცინცაძე.

**საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების  
V ყრილობას**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მეხუთე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატებს და მათი სახით საზოგადოების ყველა წევრს.

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნაცადი ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვის პარტიის X XIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, მშრომელთა კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად, მრავალსაუკუნოვანი სულიერი კულტურის ტრადიციებზე დაყრდნობით ახალი სოციალისტური კულტურის განსაზოგადებად.

ლენინური კომუნისტური პარტია გვასწავლის, თუ რა სათუთად უნდა ვეკიდებოდეთ წარსულის კულტურას, რადგან ამ მდიდარი მემკვიდრეობის აუთვისებლად შელძლებულია საბჭოთა ხალხის მრავალფეროვანი სოციალისტური კულტურის განვითარება.

კულტურის მემკვიდრეობა, რომელიც ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომისა და შემოქმედების ნაყოფია, ჩვენს სამშობლოში საყოველთაო ზრუნვით არის გარემოსილი. ამ მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება კიდევ უფრო ამდიდრებს საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროს. კულტურის ძეგლთა დაცვა მშრომელთა ღვიძლი საქმეა, ამ საქმეში დიდ და კეთილშობილურ როლს ასრულებს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელმაც თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

საზოგადოების ამოცანაა მომავალში კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს მოღვაწეობა, სანიმუშოდ მოაწესრიგოს წარსულის ძეგლთა აღრიცხვა, შესწავლა, დაცვა და პოპულარიზაცია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ნაყოფიერ ნუშობას უსურვებენ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების V ყრილობას და გამოთქვამენ რწმენას, რომ საზოგადოების წევრთა მრავალათასიანი კოლექტივი ძალასა და ენერგიას არ დაიმშრებს თავის წინაშე დასმული დიდი და კეთილშობილური ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს  
კომუნისტური  
პარტიის  
ცენტრალური  
კომიტეტი

საქართველოს  
სსრ უმაღლესი  
საბჭოს  
პრეზიდიუმი

საქართველოს  
სსრ მინისტრთა  
საბჭო

### მეტი უსრატლვაბა თბილისის ძეგლებს

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე შემონახულ და სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ ძეგლთა სიაში 67 ცალკე ნაგებობა თუ კომპლექსია შეტანილი, სულ 76 შენობა. ეს არც თუ ისე ცოტაა ერთი ქალაქისათვის. მაგრამ თუ ამ სიას გადავხედავთ, დაინახავთ, რომ მასში შესულ ძეგლთა უმეტესობას XIX საუკუნის საცხოვრებელი სახლები და სხვა ამავე ან მომდევნო საუკუნის შენობები შეადგენს. ისეთი ქალაქისათვის კი როგორცაა თბილისი, რომელიც უკვე IV საუკუნეშია მოხსენებული როგორც ციხე-ქალაქი, ძველ შენობათა რიცხვი ძალზე მცირეა.

ამ უძველეს ძეგლთა შორის უნდა დავასახელოთ: ნარიყალას ციხე (IV-XVIII სს.), ე. წ. ანჩისხატის ბაზილიკა (VI-XVII სს.), სიონის ტაძარი (VI-XVIII სს.), დიდუბის ეკლესია (შუასაუკუნეები), ლურჯი მონასტერი (XII-XVIII-XIX სს.), მეტეხის „ღვთისმშობლის ეკლესია“ (XIII-XVIII სს.), ფეთხანინის (ბეთლემის) ეკლესია (XV ს.), „ჯვარის მამა“ (XV-XVII სს.), ანჩისხატის და ფეთხანინის სამრეკლოები (XVII ს.), როსტომ მეფის აბანო (XVII ს.), ხიდი მდ. ვერეზე (XVII ს.) დარეჯანის სასახლე ეკლესიით (XVIII ს.), ამას უნდა დავუმატოთ ქალაქის გალავნის სხვადასხვა დროის ნაშთები კალასა და ისანში.


ბუნებრივია, რომ ამ ძეგლთაგან არც ერთს ჩვენ დრომდე არ მოუღწევია პირვანდელი სახით. მრავალჯერ დანგრეულნი, შემდეგ კი აღდგენილნი და გადაკეთებულნი ისინი სრულიად აღარ გვანან იმ შესანიშნავ შენობებს, რომლებიც ოდესღაც ამშვენებდნენ ქართლის, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებს.

თუმცა ბოლო დროს ამ ძეგლების შესასწავლად და შესაკეთებლად ჩატარდა დიდი და ხერხიერი მუშაობა, მაგრამ ეს არ კმარა.

განვიხილოთ თითოეული ძეგლი ცალ-ცალკე, რათა დაინახოთ რა არის გაკეთებული, რა გვაქვს კიდევ გასაკეთებელი და როგორ უნდა წარვმართოთ ჩვენი მუშაობა უკეთესი შედეგების მიზნად.

არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენასაც თუ ვის ევალება ამა თუ იმ სამუშაოს შესრულება. არის სამუშაოები, რომელთა შესრულებაც ძეგლთა დაცვის სამმართველოს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს. მაგრამ არის ისეთებიც, რომლებიც მის შესაძლებლობას და კომპეტენციას სცილდება და ქალაქის სათანადო ორგანიზების დახმარების გარეშე მათი განხორციელება შეუძლებელია.

თბილისის ციხე — „ნარიყალა“, ან როგორც ამბობს ვახუშტი „მაღალი ციხე“ — სადღეისოდ შეიცავს მრავალ სამშენებლო ფენას და მათ შორის IV საუკუნის კოშკის ნაშთსაც. ციხე თავიდანვე წაწყვენილი ზედაპირულ აქცენტს წარმოადგენდა ქალაქის საერთო ზედასი და დღესაც ქალაქის ძველი ნაწილისათვის მას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მისი ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქალაქის ისტორიასთან და ამ მხრივ იგი მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ობიექტს წარმოადგენს. 1966 წლიდან აქ გათხრებს ატარებს საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის კომპლექსური ექსპედიცია.



ანჩისხატი, დასავლეთის შესასვლელი ანჩისხატი. Средняя часть западного фасада до восстановления. Фото И. Зенко

1955 წ. ძეგლთა დაცვის სამმართველოს სახსრებით ძეგლი გაიზომა და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ზედა კოშკი გამაგრდა. მაგრამ ამ ძეგლის მთლიანი გამაგრებისათვის საჭირო სახსრების გაცემა ძეგლთა დაცვის სამმართველოს შესაძლებლობას აშკარად აღემატება, ამიტომ ქალაქის მთავარი არქიტექტორის საპროექტო კან-





ანჩისხათი. დასავლეთის შესასვლელი  
აღდგენის შემდეგ. ფოტო ი. ზენკოსი

Анчисхати. Средняя часть за-  
падного фасада после восстано-  
вления. Фото И. Зенко

ტორასთან შექმნილია ჯგუფი, რომელიც მუშაობს ნარიყალას აღდგენის პროექტზე, და როგორც ჩანს მისი აღდგენა ქალაქის საბჭოს აღმასკომის სახსრებით განხორციელდება.

ანჩისხათის ბაზილიკა — ძველად „მარიამ წმინდის ეკლესია“ თბილისის უძველესი საკულტო ნაგებობაა. აშენებული უნდა იყოს VI ს. დასაწყისში ვახტანგ გორგასალის ვაჟისა და მემკვიდრის დანის დროს. ამ ძეგლის პირვანდელ სახეზე 1958 წლა-

მდე, ჩვენ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა ისე საფუძვლიანად იყო იგი გადაკეთებული XVII და XIX სს.

1958-60 წწ. ბაზილიკა გაითხარა, კედლებს კი მოშორდა შელესილობა. ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ეს იყო სამნავიანი ბაზილიკა, სამი წყვილი სვეტიტა და მალალი შუბლით დაბალი აბსიდის თავზე.

ბაზილიკის იატაკის დონე შიგნიდან და მიწის დონე გარედან დაბაღლდა. გამაგრდა VI ს. წყობა, გაიწმინდა და გამაგრდა 1683 წლის მხატვრობა, რომელიც აღწინადა XIX ს. მხატვრობის ფენის ქვეშ. დაინგრა ყოველგვარ მხატვრულ და ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული XIX ს. სამრეკლო და ცრუ-გუმბათი. ძეგლმა მიიღო დაასლოებით ის სახე, რომელიც მას ჰქონდა XVII ს.

გამაგრდა და აღადგა პირვანდელი სახით 1675 წ. სამრეკლოც. მას შემდეგ ძეგლზე რამდენჯერმე ჩატარდა მიმდინარე შეკეთება. გაიწმინდა, აგრეთვე, ეზოს ჩრდილო-დასავლეთის კუთხე, მაგრამ იმის თქმა, რომ ძეგლი საესებით მომზადებულია საჩვენებლად არ შეიძლება. აპისათვის, საჭიროა ძეგლის ეზოს მთლიანი მოწესრიგება. ეზო კი, რომელსაც თითქმის მთელ პერიმეტრზე პატარ-პატარა მჭიდროდ დასახლებული და ყოველგვარ კომუნალურ მოწახურებას მოკლებული საბულები არტყია, მეტისმეტად არასამარბიელო სანახაობას წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ ამ სახლების დიდი ნაწილი დაძველებული და მოუვლელია, ყოველი მოზინადრე თავისებურად ცდილი გაუმჯობესებინა ცხოვრების პირობები ახალი დამატებითი სათავსოების მიშენებით. ამავე დროს, შავთელის ქუჩაზე გამავალი ორი სახლი, განსაკუთრებით ის, რომელიც სამრეკლოს მეზობლად დგას, გადაკეთებამდე ლამაზი თბილისური საცხოვრებელი იქნებოდა და ძეგლის ეზოსაც ნამდვილად დაამშვენებდა.

ამრიგად, ამ ძეგლისათვის შესაფერისი გარემოს შექმნა დამოკიდებულია იმ რთულსა და კომპლექსურ სამუშაოებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩატაროს თვით ქალაქმა.

სიონის გუმბათიანი ეკლესია. აგებული უნდა იყოს VI ს. იგი მრავალჯერ დაუნგრევიათ და აღუდგენიათ. ჩვენამდე მოღწეული სახე ძეგლს უნდა მიეღო XI-XII სს. მთლიანად მისი ფასადების მოპირკეთება ბოლნური ტუფით XVIII ს. ეკუთვნის. როგორც მოქმედი ეკლესია იგი მოვლილია, მაგრამ მის კედლებს აზიანებს ნიადაგიდან ამოსული სინესტე. სიონის სამშენებლო ფენების დადგენას და სინესტის მოსპობას ძალიან აწინებებს XIX ს. კედლის მხატვრობა, XVIII ს. ფასადების მოპირკეთება და განსაკუთრებით საფლავეები, მოწყობილი უშუალოდ ტაძრის კედლებთან.

„ლურჯი მონასტერი“ — გუმბათიანი ეკლესია — აგებულია XII ს. ამ პერიოდთან შემონახვა კედლების ქვედა ნაწილი თავისი დეკორითა და სამშენებლო წარწერით. აღდგენილია რამდენჯერმე, უკანასკნელად 1873 წელს, ქართული ძეგლებისათვის სრულიად შეუფერებელ ფორმებში. აზომილია და შესწავლილი. შეკეთებულია 1955 წ. მასში მოწყობილია „ქართული მედიცინის ისტორიის“ მუზეუმი.

მაგრამ თუ ანჩისხატის ბაზილიკის ირგვლივ ტერიტორია ამ ბოლო წლებში რამდენადმე მაინც გაიწმინდა, აქ პირიქით. ძეგლი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ თავისუფლად იდგა ნ. ნიკოლაძის ქუჩის დასაწყისში, ახლა ქალაქის საბჭოს ორგანოების ნაკლები ყურადღების გამო ისე მჭიდროდაა გარშემორტყმული კერძო სახლებით, რომ ატმოსფერული ნალექების გადაყვანაც კი გაძნელებულია მისი ტერიტორიიდან.





საცხოვრებელი სახლი შეკეთებამდე.  
ფოტო ი. ზენკოსი

Жилой дом до ремонта. Фото  
И. Зенко

საცხოვრებელი სახლი შეკეთების შემდეგ. ფოტო კუბლაშვილსა

Жилой дом после ремонта. Фото  
Кублашвили





როსტომ მეფის აბანო. სახურავის რესტავრაცია. ფოტო ა. ჯენჯოია

Баня царя Ростом. Реставрация кровли. Фото И. Зенко

მეტეხის „ღვთისმშობლის ეკლესია“ ძველი ქალაქის ერთ-ერთი კომპოზიციური ვერტიკალი, აგებულია ციცაბო კლდის პირას. აზომილია და მონოგრაფიულად შესწავლილი. შეკეთებულია 1958 და 1972 წწ. ტერიტორია მის ირგვლივ კეთილმოწყობილია. გასულ წელს ძეგლი გადაეცა ახალგაზრდა მსახიობთა დასს. ძეგლში ყველა წესების დაცვით, ისე რომ არ დაზიანებულიყო მისი არც ერთი ქვა, მოწყობილია სცენა და სკამები მაყურებელთათვის.

ფოთხაინის ეკლესია. შეკეთდა 1950 წ. ხოლო სამრევლო 1956 წ. აშგამად სამრევლოს სახურავი დაძველებულია, განზრახულია ძეგლის გადაცემა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრისათვის, რომელიც ინსტიტუტის დირექციასთან შეთანხმებით აპირებს მის მოვლა-პატრონობას.

„ჯვარის მამის“ ეკლესიას, ისევე როგორც სიონის კათედრალს, აზიანება ნიადაგის სინესტე. მაგრამ ეს ნაგებობა ისე ღრმად ზის მიწაში და ისე მჭიდროდაა გარემომორტყმული ძეგლის უსოში მცხოვრებ მობინადრეების მიერ აგებული მცირე დამხმარე სათავსოებით, რომ ზოგ ფასადთან ახლოს მისვლაც კი შეუძლებელია, რაც აფერხებს სინესტის მოსასპობად აუცილებელ სადრენაჟო სამუშაოების დაწყებას. საჭიროა, რომ კიროვის სახელობის რაიადმასკოში და თბილისის საქალაქო საბჭო დაეხმაროს ამ მხრივ ძეგლთა დაცვის სამმართველოს.

როსტომ მეფის აბანო წარმოადგენს XVII ს. სამეფო სასახლის კომპლექსის ერთადერთ გადარჩენილ ნაწილს. ბოლო დრომდე ცნობილი იყო „ზარაფხანის“ სახელ-



როსტომ მეფის აბანო, დიდი დარბაზი  
აღმ. სვეტი ფოტო ი. ზენკო

Бани царя Ростом, большой  
зал, вост. устой. фото И. Зенко

წოდებით. თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევითი სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ეს იყო მეფის აბანო, რომელიც XVIII ს. გაფართოვდა და გადაკეთდა, ხოლო 1795 წ. ალა-შაჰმად ხანის შემოსევის დროს დაინგრა. 1804 წელს რუსეთის მეფის ხელისუფლებას ზერელედ შეკეთებულ აბანოში, მართლაც მოუწყვია სასინჯი პალატა, რომელშიც ფულსაც ჰკრძინენ, რასაც მიხი გვიანდელი სახელწოდება „ზარაფხანაც“ ადასტურებს.

ძველზე ჩატარდა საკონსერვაციო სამუშაოები, რამდენჯერმე შეკეთდა სახელმწიფო ტერიზმის განვითარებასთან დაკავშირებით კარგი იქნებოდა ამ, თავის დროისათვის უაღრესად მაღალ ტექნიკურ დონეზე აგებული და ლამაზი ნაგებობის მთლიანი აღდგენა როგორც გოგირდის აბანოსი. ს. ფიქრბელია, რომ იგი სულ მალე აანაზღაურებდა აღდგენაზე დახარჯულ თანხას.

ხიდი მდ. ვერეხე. აგებულია XVII ს. ქალაქის ჩრდილოეთით. ქალაქის ზრდის შედეგად მოექცა მის თანამედროვე ცენტრში. ლენინის ქუჩის რეკონსტრუქციის შედეგად ხიდი დაბლა დარჩა. 1957 წელს ზოგიერთი თანამედრობის პირის უპასუხისმგებლობის გამო, ამ მეტად საინტერესო ნაგებობის შუა მალი დაანგრევს, თუმცა ამის აუცილებლობა არ იყო. საჭიროა გმირთა მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით დაზუსტდეს ამ მნიშვნელოვანი ისტორიული ნაგებობის ადგილი მოედნის რეკონსტრუქციის პროექტში.

გიორგი XII სასახლეზე 1973-74 წწ. ჩატარდა კვლევითი და სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები მასში სათეატრო მუზეუმის მოწყობის მიზნით.


მოგვიანო პერიოდის ძეგლებს შორის აღსანიშნავია სიონის 1812 წლის სამრეკლო, რომელიც გაიზომა და შეკეთდა 1958 წ., კ. მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელიც 1961 წ. შეკეთდა. მარშან კვლავ დაიწყო მისი კაპიტალური რემონტი, უკვე ბიბლიოთეკის სახსრებით.

რაც შეეხება წმ. ნიკოლოზის ეკლესიას, იგი უკავია ფირმა „მელოდია-ს ფირფიტების საწარმს. განზრახულია მისი განთავისუფლება.

დაბოლოს, დარჩა თბილისის ძეგლებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი, სახელდობრ, XIX ს. საცხოვრებელი სახლები. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ასეთ შენობებზე მართო სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება არ ემართა, რადგან ისინი, როგორც წესი, მდებარეობენ ქალაქის ძველ უბნებში, ძალიან მჭიდროდ არიან დასახლებული და მოკლებული ელემენტარულ კომუნალურ მომსახურებას. ამ სახლების მაცხოვრებლები, აღდგენითი სამუშაოების დამთავრებისთანავე იწყებენ, თითოეული საკუთარი შესაძლებლობისა და გემოვნების მიხედვით, პირობების გაუმჯობესებას. — ტიხრავენ აივნებს, პირველი ხართლის მაცხოვრებლები იმატებენ ოთახებსაც კი, აწყობენ ცალკე შესასვლელებს, კიბეებს და სულ მოკლე ხანში ლამაზი და კოხტა თბილისური სახლი გადაიქცევა ხოლმე სხვადასხვა მასალით აგებულ, ნაირნაირი მოცულობის სათაფლითა კონგლომერატად, რომელშიც შთანთქმულია ჩვენი ძველი.

ეს რომ ასე არ მოხდეს, თბილისშიც უნდა ჩატარდეს იმ სახის კომპლექსური სამუშაოები, რომლებიც უკვე დიდი ხანია, დაწყებულია საბჭოთა კავშირშიცა და ვეროპასიე. საინიშნოდ დაყენებული ეს საქმე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, განსაკუთრებით ლიტვაში, აგრეთვე პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის და სხვა სახალხო რესპუბლიკებში, სადაც ძველი ქალაქების და ძველი საცხოვრებლის ახალი პირობებისათვის გამოყენების დიდი და ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ.

ამ ამოცანის მაღალ დონეზე გადაწყვეტას თბილისისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ მისი ძველი უბნების განაშენიანება ანიჭებს მას იმ განუმეორებელ და თავისებურ იერს და განასხვავებს მას ყველა სხვა ქალაქისაგან.



ვერეს ხიდი. საკითხი ხედი XIX ს.  
ბოლოსათვის. ფოტო დ. ერმაკოვისა.

Вернейский мост. Общий вид к  
концу XIX века. Фото Д. Ерма-  
кова.

ნიკო კვიციანი — კოპაძე

### თბილისის ძველი ქვის ხიდი მდინარე ვერესზე

თანამედროვე თბილისის ფარგლებში, უკანასკნელ დრომდე, მდ. ვერესზე არსებობდა მეტად თვალსაჩინო, სველი 4 მალიანი ქვის სახიდე ნაგებობა. ამ იშვიათ საინჟინრო ნაგებობაში თავმოყრილი იყო მთელი რიგი საინტერესო სამშენებლო ხერხებისა და დეტალებისა, რომლებიც დიდ ინტერესს წარმოადგენს მშენებელ-სპეციალისტთათვის.

ამჟამად ეს ხიდი აღარ არსებობს, მაგრამ საჭიროა მომავალმა თაობამ წარმოედგინა იქონიოს ამ მეტად საინტერესო, უნიკალურ ობიექტზე, რომელიც თვალსაჩინო ნიმუში იყო ქართველი ერის შემოქმედებითი მოღვაწეობისა სამშენებლო დარგში.

ვერეს ხიდს პირველად იხსენიებს ბატონიშვილი ვახუშტი (1696-1784 წწ.) — „ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტკირისა“<sup>1</sup> ამ წენიშენიდან ვგებულობთ, რომ XVIII ს. მდ. ვერესზე არსებობდა ქვის საკმაოდ დიდი ხიდი.

1771 წ. აკადემიკოსი ი. ა. ვიულენშტედტი საქართველოს ახლანდელ სამხედრო გზაზე გაულისას აღნიშნავს: „დიდმიდან დაახლოებით 3 ვერსზე ხამხრეთის მიმართულებით არსებობს ნაკადული ვერეს ხევი, რომელსაც აქვს ქვის ხიდი“<sup>2</sup>.

აკად. გ. ი. კლაპროტი, რომელიც საქართველოში ყოფილა 1807-1808 წწ. წერს: „თბილისიდან ორი ვერსის დაშორებით ჩვენ გავიარეთ მდ. ვერეს, რომელზედაც აშენებულია მეტად ლამაზი ქვის ხიდი“<sup>3</sup>.

„მიცვალებულის“ ფსევდონიმით ვინმე ავტორი საქართველოს შესახებ თავის მე-

ტად საინტერესო საგზაო ნარკვევში, რომელიც 1828-29 წწ. ეხება, წერს — „ქატეხილიდან დასავლეთით მდ. ვერეხე, რომელიც მარჯვნივ ღრმა ხევით გამოდის, გზხედება მაღალი ქვის ხიდი“.<sup>4</sup>

ამ შენიშვნაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ვერეს ხიდი ნახსენებია როგორც მაღალი ხიდი.

ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს გასული საუკუნის 50-იანი წლების თბილისის გამოჩენილი ჟურნალისტის ნ. ლ. დუნკელ-ველინგის გახუთ „კავკაზში“ დაბეჭდილი წერილი. ეკამათება რა ვინმე ლომანვესკის იგი წერს: „... მაგრამ თუ ბ-ნი ლომანვესკი ასეთი მოყვარულია ძველი ხიდებისა, რატომ აუარა მდუმარედ გვერდი ვერეს ხიდს“. რედაქციის შენიშვნაში ამ ხიდის შესახებ ვკითხულობთ: „პირველივე შეხედვით ჩანს მისი სიძველე, შენების ფორმა კი გვაგონებს რომელიღაც ხიდს. ეს ხიდი, ალბათ, არა ერთხელ რესტავირებულია, მაგრამ მისი პირველი აშენების პერიოდს მიაწერენ პომპეუსის ლაშქრობის მითარდაქცთან ბრძოლის დროს, დაახლოებით ქრისტეს დაბადებამდე 65 წელს“.<sup>5</sup>

როგორც ოფიციალური საარქივო საბუთებიდან ჩანს ვერეს ძველი ქვის ხიდი 1849 წლამდე უპატრონოდ ყოფილა მიტოვებული. 1850 წელს გზათა უწყებამ, რომლის განკარგულებაშიც ხიდი გადასულა, გაიღო 100 მან (ვერცხლის ფულით), გადაუდებელი სამუშაოების შესასრულებლად. თანხების უქონლობის გამო კაპიტალური შეკეთება სხვა დროისათვის გადაუდიათ.<sup>6</sup>

კავკასიის გზატკეცილების სამმართველოს ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოხელემ, ინჟინერ-პოლკოვნიკმა ალექსი ვასილის ძე ჩერნიკოვმა 1863 წ. გზათა მიმოსვლის ჟურნალში მათათვისა შეტად საინტერესო წერილი ამიერკავკასიის ძველი ხიდების შესახებ, ამ წერილში მოკლედ აღწერილია ამიერკავკასიის სამი თვალსაჩინო ჰესის სახიდე ნაგებობა: თბილისის — მდ. ვერეხე, „გატეხილი ხიდი“, — მდ. ხრამზე და ერევანში — მდ. რაზდანზე.

აი რას წერდა ა. ვ. ჩერნიკოვი ჩვენს მიერ განსახილველი ძველი ხიდის შესახებ: მდ. ვერეხე ხიდის აშენების დრო ცნობილი არ არის. მისი აგებულების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი „გატეხილი ხიდის“ (წითელი ხიდის) თანამედროვეა. ძველი ვერეს ხიდი აშენებულია აგურით სავალი ნაწილის მცირე სივანე აფერხებდა ეტლების გვერდის აქცევას, ამიტომ 1856 წ. მისი ქვის ძველი პარაპეტი მოიხსნა და შეიცვალა ხის ტრატუარით, მოაჯირებით, რომლებიც ხიდის კედლებს გარეთ გამოდიოდა“.<sup>7</sup>

ავტორიტეტული სპეციალისტის — ინჟინერ ა. ვ. ჩერნიკოვის მოკლე შენიშვნიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ გასული საუკუნის შუახანამდე მდ. ვერეხე ძველი ხიდი არსებობდა თავისი პირვანდელი სახით, მაგრამ 1856 წელს, სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით იგი ნაწილობრივ გადაუკეთებიათ, ხოლო 1863 წელს ხიდის მეოთხე კამარა მთლიანად განუახლებიათ — დაზიანებული ისრისებრი კამარის ნაცვლად აუგიათ აგურის ახალი ნახევარწრიული კამარა.

ა. ვ. ჩერნიკოვის ჩივირ აღწერილი ამიერკავკასიის სამი თვალსაჩინო ქვის ხიდიდან ორი („გატეხილი ხიდი“ ხრამზე და ერევანისა — რაზდანზე) დღესაც მოქმედებაშია, იმ დროს, როდესაც თბილისის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძველი ნაგებობა უკვე აღარ არსებობს. სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ სათანადო ყურადღება და მზრუნველობა ამ შესანიშნავი ძველი ნაგებობის მიმართ.


თანახმად 1857 წ. წარმოებული აზომვებისა ვერეს ძველი ხიდის სიგრძე — 70 მ,



სიგანე — 5,77 მ. წარმოადგენდა. მალეების ზომები საბურთალოს მხრიდან — 7,85-9,46-7,85-5,92 მ.მ. მთავარი კამარის სიმაღლე — 3,5 მ. თაღების სისქე — 0,68-0,74 მ.მ. (ხიდის მთლიანი სიმაღლის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან მისი საყრდენი ბურჯები, ღრმად იყო ჩაფლული მდინარის გამონარიყში).

XIX ს. მეორე ნახევრიდან მდ. ვერეს სათავეში ტყის გაჩეხვის შედეგად წყლის დენამ იმდენად იკლო, რომ იგი თავსდებოდა მხოლოდ ორი მაღის ქვეშ, ხოლო დანარჩენი ორი მაღი მთლიანად გამოთიშული რჩებოდა.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ 1856 წლამდე, ძველი ვერეს ხიდი თავისი აავალი ნაწილის სიგანით მთლიანად შეეფერებოდა საქართველოს გზებზე იმ დროს გავრცელებულ სატრანსპორტო საშუალებებს. საქართველოს სამხედრო გზაზე მოძრაობის ინტენსიობის თანდათანობით ზრდასთან ერთად ხიდის ძველი სავალი ნაწილი, ცხადია, მთლიანად ვერ დააკმაყოფილებდა ტრანსპორტის გაზრდილ მოთხოვნილებას, ამიტომაც 1856 წელს იგი გადაკეთდა, ტროტუარების ხიდის კედლებს გარეთ გატანით.



ვერეს ხიდი დაზარალებულ (1932 წ.)  
ფოტო. ზანისისა.

Верийский мост до разрушения  
1932 г. Фото Заниса.

ამის შემდეგ თითქმის 75 წლის განმავლობაში ვერეს ხიდი მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა საქართველოს სამხედრო გზაზე მიმოსვლის პირობებს.

საბჭოთა წლებში ქალაქის ტერიტორია თვალსაჩინოდ გაიზარდა. განვითარდა ქალაქში მიმოსვლა და სატრანსპორტო საშუალებები, რასაც, ცხადია, უნდა გამოეწვია ასილი ქუჩების, მაგისტრალებისა და ავტობუსის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

თუ 1856 წელს თავისი სავალი ნაწილით ხიდი ნაწილობრივ გააფართოეს, რამაც დაამახინჯა მისი გარეგნული სახე, 1932 წელს იგი მთლიანად შეცვალა ლამაზმა, განიერმა და მაღალმა ქვის სამშალისაგან ხიდმა. ამ დღიდან მდ. ვერეს ძველი ქვის ხიდი მწყობრიდან გამოვიდა.

ხიდის საყრდენების ზედა ნაწილების წყობა კარგად იქნა შენარჩუნებული. იგი შედგებოდა მთელი რიგი ყორული ქვებისაგან, რომელთა შორის განლაგებული იყო





თავდაპირველად წყობას აწარმოებდნენ თანდათანობით, საყრდენებში მხოლოდ მხრიდან. ნაკერების ხაზებს განლაგებდნენ რადიუსული მიმართულებით და თავს უყრდნენ თალის მწვერვალთან. ამგვარ წყობას აწარმოებდნენ თალის იმ სიმაღლემდე, სადა მდისაც აგურს შეეძლო დარჩენა დახრილ მდგომარეობაში ქარგილების გარეშე. ამის შემდეგ თალის შუა ნაწილში ამარებდნენ ერთ ვიწრო დამხმარე ფიცრის ქარგილს, რომელზედაც წარმოებდა ჩვეულებრივი წყობა. ამრიგად თალის შუაგულში, ორივე მხრიდან ზემოთ მიემართებოდა ორი ტოლფერდა სამკუთხედის მსგავსი აგურის წყობა, რომელთა მწვერვალები თალის თავზე, კლიტესთან ერთდებოდა, ხოლო ძირი მდებარეობდა იმ სწორ ხაზზე, რომელზედაც აგური ქარგილების დაუხმარებლად ეწყობოდა.

კამარის დანარჩენი გვერდების ამოუკვებელი ნაწილების წყობა წარმოებდა კამარის შუაგულში, უკვე დალაგებულ თალზე გვერდებიდან, დულაბზე აგურის მიწებებით. ეს იყო ცალკე, ბრტყელი, ვერტიკალურად დაწყობილი თხელი კამარები, (სიღანით — ქართული აგურის სისქისა 3,5 სმ), რომელიც დალაგებული იყო სამი რიგი აგურით. კამარის მთელი სისქე დახლეობით 68-74 სმ წარმოადგენდა.

ვინაიდან გაკეცილი დულაბი წებოვანია და თხელ აგურს მცირე წონა აქვს, აგურის რიგები ქარგილების გარეშე თავსდებოდა. ჯერ ერთი რიგი ლაგდებოდა, შემდეგ მეორე და ა. შ., თანდათანობით კამარის შუაგულიდან გვერდებისაკენ.

ამგვარად, კამარის ზემო ნაწილში, კლიტესთან აგურს ორგვარი მიმართულება ჰქონდა. ერთი ნაწილი დალაგებული იყო ერთი მიმართულებით, მეორე კი მის პერპენდიკულარულად.

აქ ჩვენ მოგვყავს მარცხენა კამარის აგურის განლაგების გეგმა შედგენილი იოსებ გრძელიშვილის მიერ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ გეგმაში აგურის რადიუსული წყობა ბოლომდე, ხიდის კლიტემდე არ არის მიყვანილი. ნამდვილად კი სხვადასხვა მიმართულებით მდებარე აგურის წყობა თავს იყრის კამარის მწვერვალთან.

მეორე კამარა, რომელიც მდებარეობდა პირველის გვერდით, გამოირჩეოდა წყობის თავისებურებით (მალი—9,46 მ). აქ აგურის წყობა ჩვეულებრივი რადიუსული ნაკერებით უწარმოებიათ, არა მარტო მის შუა ნაწილში, არამედ ისრისებრი კამარების ნაპირებზედაც. ამ შემთხვევაში სამი ვიწრო აგურის წყობის ზოლი იყო, მათ შორის არსებულ სივარცელს კი ავსებდნენ უქარგილოდ, ხიდის სიგრძის პარალელურად. ეს, ვერტიკალურად განლაგებული აგურის წყობა გარედან არ ჩანდა, რადგან იგი მოთავსებული იყო აგურის რადიუსულ შრეებს შორის.

მესამე ისრულ კამარასაც (მალი—7,85 მ) პირველი და მეორე თაღებისაგან განსხვავებული ზედაპირი ჰქონდა. აქ წყობა უწარმოებიათ ჩვეულებრივი რადიუსული ნაკერებით, ნაპირებიდან დამხმარე ხის ქარგილების, მათ შორის არსებული სივარცელის ამოვსებით, ბრტყელი აგურისაგან ნაშენები ვერტიკალური ვიწრო კამარებით, ერთი შრის მეორეზე მიწებებით.

მეოთხე კამარა (მალი—5,92 მ), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წარმოადგენდა უფრო გვიანდელი ხანის ნაწარმოებს, მას ჰქონდა ნახევრად წრიული მოხაზულობა და მისი თალი მოლიანად დაწყობილი იყო ბრტყელი ქართული აგურით, რადიუსული ნაკერებით, მთელ სიბრტყეზე ხის დამხმარე ქარგილების გამოყენებით. ეს კამარა აშენებული ყოფილა 1856 წელს ძველი დანგრეული ისრული კამარის ნაცვლად.

ამრიგად, ამ ნაგებობაში არსებობდა ოთხნაირი წყობა, ოთხი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით.



ხიდის მთავარი კამარა აფეთქების  
 შემდეგ (1957 წ.) ფოტო ავტორისა.

Главная арка моста после раз-  
 рушения (1957 г.) Фото автора.

ხიდის პირველი თაღის აგურის წყო-  
 ბის სქემა ქვემოთან. ნაბ. ი. გრძელი-  
 შვილისა.




Схема кирпичной кладки пер-  
 вой арки моста снизу рис. И.  
 Грძელიшвили



ხიდის საერთო ხედი აფეთქების შემდეგ (1957 წ.) ფოტო ავტორისა.

Общий вид моста после разрушения (1957 г.) Фото автора

ვრეს ხიდის თაღების აგებისას (ჩვენს მიერ მოყვანილ ყველა შემთხვევაში) ქარცილების ამგვარი გამოყენებით, უსათუოდ, მიიღებდნენ ხის მასალის ერთგვარ ეკონომიას. საქართველოს უხვი ტყიანი პირობების მიუხედავად ხის მასალის ეკონომიის საჭიროების მიზეზს ქვემოთ მოგახსენებთ.

ვრეს ძველი ქვის ხიდის ნაგებობას კიდევ ერთი მეტად დამახასიათებელი დეტალი ჰქონდა. ხიდის მთავარ თაღში, მისი სავალი ნაწილის გასწვრივ, განლაგებული იყო ორი პარალელური გალერეა-სიციარილე. ისინი ერთმანეთის გვერდით მდებარეობდა და გადახურული იყო ნახევარწრიული თაღებით. გალერეების სიგანე იყო 1,5 მ, მათი გარე კედლების სიგანე — 1,2 მ. მათ შორის კედლების სიგანე შეადგენდა — 0,40 მ.

გალერეებს შორის შუა კედელზე, მალის მთელ სიგრძეზე ეწყო ორი ან სამი რიგი მუხის ძელებისა, რომლებზედაც განლაგებული იყო აგურის წყობა. იმხანად ეს ძელები მეტწილად დამპალი იყო და მათგან დარჩენილი სიციარილეები — ბუდეები ამოვსებული იყო ხის დამპალი ნაფხვენით. გალერეის კედლების ქვემო ნაწილი 0,50-0,75 მეტრის სიმაღლეზე ამოყვანილი იყო ქვის ყორული წყობით, ხოლო მის ზედა ნაწილში კედელი თალიანად აგურისა იყო.

ამგვარი თაღზედა ნაშენი ამცირებდა ხიდის მალის გადახურვის კონსტრუქციის წონას და ამით განტვირთავდა მას მძიმე ნაყარ გრუნტისაგან.

1957 წ. ზაფხულში ხიდის მთავარი კამარის აფეთქების შემდეგ შესაძლებელი გახდა თაღში მოთავსებული გალერეების ნახვა-ფიქსირება. როგორც ჩანს, დანარჩენ უფრო წვრილ თაღებში ამგვარი დანაშენები არ არსებობდა.

ცნობილია, რომ თაღებზე ამგვარი დანაშენები გალერების სახით, არსებობს მდინარე ხრამზე აგებულ „გატეხილ ხიდზე“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ინჟინერი ა. გ. ჩერნიკოვი „გატეხილ ხიდს“ ვერეს ხიდის თანამედროვედ თვლიდა. „გატეხილი ხიდი ანუ წითელი ხიდი“, როგორც მას ამჟამად ეძახიან, მდებარეობს თბილისიდან ჩამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 55 კმ მანძილზე, მდ. ხრამზე, 2-3 კმ დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ეს მდინარე ერთვის მტკვარს. ეს ხიდი ემსახურება საქართველოს ერთ-ერთ უძველეს საგზაო მაგისტრალს, რომელიც მიემართება სომხეთისა და აზერბაიჯანისაკენ.

არსებული მონაცემები ამ ხიდის მშენებლობას მეფე როსტომის ხანას (1653 წელს) მიაკუთვნებენ. ეს შესანიშნავი სახიდე ნაგებობა, რომელიც მეოთხე საუკუნეა რაც არსებობს, დღემდე ზეღუპილია დაგას, ამიერკავკასიის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგისტრალს ემსახურება და საქართველოს თანამედროვე გზატკეცილების მშენებებს წარმოადგენს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამგვარმა სახიდე ფორმებმა უმთავრესად ფართო გავრცელება პოვა ირანში შაჰ-აბაზის (1587-1628 წწ.) დროს. ისრისებრი კამარების მრავალი, მეტად საინტერესო ნიმუში ირანში დღემდე უცვლელად არსებობს.

ჩვენ აქ დაწვრილებით არ შეგვრდებით ისრისებრი კამარების მშენებლობის საკითხებზე. როგორც ჩანს, ირანში ქვის ხიდების ისრისებრი კონსტრუქციების გამოყენება უმთავრესად გამოწვეული ყოფილა ამ ქვეყანაში სამშენებლო ხის მასალის უქონლობით, რაც საჭირო იყო დამხმარე ხის ქარგილების მოსაწყობად, რომელზედაც მისი აშენების დროს თვით კამარა ლაგდებოდა.

თუ ეს გარემოება ირანში ხის მასალის სიმცირით აიხსნება, საქართველოს ხიდების მშენებლობის საქმეში იგი ნაკლებ დამაჯერებლად და საფუძველ-მოკლებულად უნდა მივიჩნიოთ. ცნობილია, რომ საქართველო იმთავითვე ითვლებოდა მდიდარ ტყიან ქვეყნად და არასდროს არ იკრძნობოდა სამშენებლო ხის მასალის ნაკლებობა.

იბადება კითხვა, თუ სამშენებლო ხის მასალის უქონლობის ფაქტორი საქართველოს ქვის კამაროვანი ხიდების აგების საკითხში არ არის არსებითი, მაშ, რითი იყო გამოწვეული საქართველოში ამგვარი სპეციფიკური სახიდე ნაგებობების გავრცელება?

თუ ზემოთ ნათქვამს გაკითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ ნაგებობებში ისრისებრი კამარების კონსტრუქციითა გამოვლინება გამოწვეული იქნებოდა არა ხის მასალის უქონლობით, არამედ ისტორიული და კულტურული ფაქტორებით.

ეს გარემოება ჩვენთვის გასაკებია უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც XVI-XVII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრების მრავალი მხარე ხასიათდება ირანის გავლენით. იმხანად ირანის გავლენა ემჩნევა ქართველი ხალხის ლიტერატურას, ხელოვნებას, ტანსაცმელს, ბინების მორთულობას, საყოფაცხოვრებო პირობებს.

ხიდის სიძველეს პროფესორ შ. მესხიას მიერ აღმოჩენილი მეტად საინტერესო საბუთიც ადასტურებს.

1774 წ. თბილისური ნასყიდობის სიგელში ნათქვამია: „მოგყიდე ვერეზე ხოჯა ბეჰბოდას გაკეთებული ხიდის ქვემოდან... წისქვილი ბაღით და მიწითა“.

„მდინარე ვერეზე, დასქენს პროფ. შ. მესხია, — თბილისის მდამოებში სხვა ემდროინდელი ხიდის კვალი არ ჩანს, ცხადია, რომ იმ დოკუმენტში სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხიდი იგულისხმება, რომელიც თურმე ბეჰბოდას გაუკეთებია.



ხიდის ზედახედი აფეთქების შემდეგ.  
ფოტო ავტორისა.

Вид моста сверху после разру-  
шения. Фото автора.

შემდგომი გამოკვლევების შედეგად პროფესორი შ. მესხია იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ბეპბოდა ანუ ბეპბუთა, ბეპბუთაშვილის საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელია საქართველოში, ცნობილი პიროვნებაა... იგი სამეფოს ზარაბთუხუცესი (ე. ი. ზარაფხანის გამგებელი, შოიჯარადრე) იყო და თბილისში სწორედ XVII ს. ორმოციანი წლებიდან მოღვაწეობდა, ვერეს ხიდიც ამ დროს უნდა იყოს აგებული“<sup>8</sup>.

მართლაც, 1646 წლით დათარიღებული საქართველოს სოციალური ისტორიის დოკუმენტების გაკანობით, ჩვენ გვხვდება „მამასახლისი ზარაფი ხოჯა ბეპბუთა“<sup>9</sup>. საიდანაც ჩანს, რომ ხოჯა ბეპბუთას მოღვაწეობის ხანად უნდა ჩაითვალოს XVII ს. ორმოციანი წლები.

პლატონ იოსელიანი იძლევა მეტად ძვირფას ცნობებს თბილისის ვერეს ხიდის შესახებ. იგი წერს: „ნაკადულ ვერესზე, რომელიც ხეობას აყოფს, — ძველ მეფეთა მიერ გაკეთებულია ქვის ხიდი. მისი განმარტებული არის მეფე როსტომი (1634-1658 წწ); სწორედ იგი, რომელმაც მდ. ხრამზე ააშენა ხიდი შესანიშნავი თავისი არქიტექტურით, რუსულ რუკებზე ცნობილი წითელის სახელით, ქართველებში კი დამტკრეულ, გახეთქილ „გატეხილი ხიდის“ სახელწოდებით“<sup>10</sup>.

ძველად საქართველოში, როგორც სხვა წინა აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩვეულებად ქონდათ მსხვილ საგზაო სახიდე ნაგებობებთან ან სხვა მდინარეებზე გადასასვლელებთან საგზაო ქარვასლების ან სასტუმროების მოწყობა. აქ შეეძლოთ გაჩერებულიყვნენ დასასვენებლად, ემოვათ ბინა და საკვები გზად მიმავალ ქარავნებს.

წარსულში ამგვარ დასასვენებელ სახლებს ჯერ ერქვა პონდაქიონი, შემდეგ ფუნდუკი, უფრო გვიან, ქარვასლა, მაგრამ ყველა ამ დასახელებას საგზაო სასტუმროს მნიშვნელობა ჰქონდა.




ზიდის ნაწილი აფეთქების შემდეგ.  
ფოტო ავტორისა.

Часть моста после разрушения.  
Фото автора.

ზიდის მთავარი კამარის თაღოვანი  
სივრცელები. ფოტო ავტორისა.

Пустоты расположенные в глав-  
ной арке моста. Фото автора





შუა საუკუნეების (XIII ს.) ერთ-ერთ ქართულ წერილობით წყაროში მდებარეობს მტკად საინტერესო მითითებას მდ. ვერეზე ქარვასლის არსებობის შესახებ.

თბილისის სიონის ტაძრის კუთვნილ გუჯარში, რომელიც დათარიღებულია 1289 წლით, ნათქვამია, რომ „მეფე დიმიტრი თავდადებულს აუშენებია და აღნიშნულ ტაძრისათვის შეუწირია მდ. ვერეს ხიდის ქარვასლა სოფლებითურთ“.<sup>11</sup>

ეს მტკად თვალსაჩინო საკითხი მითითებს უფრო ღრმად შესწავლას, მაგრამ ამაში ჩვენ იმ დროისათვის არაჩვეულებრივს არაფერს ვხედავთ. ეს იქნებოდა ქ. თბილისის გარეუბანში, საპასუხისმგებლო სახიდე გადასასვლელზე გამოვლულ ქარავენისათვის მტკად საჭირო ნაგებობა.

მდ. ვერეს ძველი ხიდის შესწავლისას, გვებადება კითხვა—რატომ არის რომ ამ უბრალო, მცირე ზომის სახიდე ნაგებობას ბატონიშვილი ვახუშტი უწოდებს დიდს, აკადემიკოსი კლაპოტი — ლამაზს, ხოლო ანონიმური ავტორი—მაღალს. აღნიშნული ავტორების მიერ მოცემული დახასიათება არავითარ შემთხვევაში არ შეეფერებოდა ამ ხიდის თანამედროვე მდგომარეობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერეს ძველი ხიდი ბოლო დრომდე ღრმად იჯდა მდ. ვერეს კალაპოტში და მისი საყრდენები თითქმის მთლიანად ჩაფლული იყო მდინარის გამონარიცში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებებს, როგორც ადგილმდებარეობის, ისე თვით მდ. ვერეს რეჟიმის მხრივ.

არსებობს ისეთი მონაცემები, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ წარსულში ვერეს ძველი ხიდი არ მჯდარა მდინარის კალაპოტში ისე ღრმად, როგორც ამჟამად. ამას ფოტოგამოსახულებაც ადასტურებს, რომელიც XIX ს. დამლევს მიეკუთვნება XIX ს. განმავლობაში ამ მდინარის სათავეებში ხე-ტყის დაუნდობელმა, სისტემატიურმა გაჩეხვამ გამოიწვია ნიადაგის ჩამორეცხვა-ეროზია და დიდი მოცულობის გამონარიცის გაჩენა, მდინარის კალაპოტის დაღვევა და ამოზოგვა. ამას დაემატა 1935 წელს ჩელუსკინელების ახალი ქუჩის გაჭრისას ამოღებული გრუნტიც, რომლის შორ მანძილზე გატანითაც მშენებლებს თავი არ შეუწუხებიათ.

როგორც ვნახეთ, ვერეს ოთხმალაინი ძველი ხიდი გარდა დიდი ისტორიული ღირებულებისა, განუზომელ ინტერესს იწვევდა როგორც ძველი სამშენებლო ხელოვნების ნიმუში, რომელშიც თვალსაჩინოდ იყო ჩაქსოვილი ის ცალკეული ორიგინალური სამშენებლო ხერხები და დეტალები, რომელსაც ჩვენი წინაპრები იყენებდნენ ხიდმშენებლობაში და კერძოდ ხიდის კამარებისა და თაღების მოწყობაში.

ამიტომაც ჩვენამდე შემორჩენილ ამ ძველ თვალსაჩინო სახიდე ნაგებობას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით ძველი ქართული სამშენებლო ტექნიკის შესწავლის თვალსაზრისით.

ჩვენ ხანაშიც, მის გვერდზე, ახალი თანამედროვე ქვის ხიდის აშენებამდე (1932 წ.) ეს ხიდი ემსახურებოდა საქართველოს სამხედრო გზას და ქ. თბილისის ხლად დასახლებულ უბანს—საბურთალოს. სამი საუკუნის მანძილზე გადაიტანა რამდენიმე შეკეთება-გადაკეთება, საბოლოოდ განიოვიდა წყობიდან. მაგრამ იგი მაინც უნდა დარჩენილიყო როგორც ქართველი ერის შემოქმედებითი მოღვაწეობის საკუთესო ნიმუში სამშენებლო ხელოვნების დარგში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ XIX ს. პირველივე წლებიდან, როდესაც საქართველოში ჩამოყალიბდა საგზაო უწყება, ვერეს ძველი ხიდი გადავიდა საქართველოს სამ-



ხიდის სიყარღეუბა საბურთალოს მხრიდან ფოტო ავტორისა.

Пустоты моста со стороны Сабуртало. Фото автора.

ხედრო გზის გამკვებლობაში და თითქმის 1932 წლამდე იმყოფებოდა მისი მოვლა-პატრონობისა და მზრუნველობის ქვეშ.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს სამხედრო გზა იწყებოდა იმ ადგილიდან, სადაც ამჟამად შოთა რუსთაველის ძეგლია აღმართული. აქ მოქმედებდა ღრმა ხევი სახელად ვკლიანი ხევი (колючая балка). ამ ხევის ხიდან არსებობდა ე. წ. მოსკოვის საბაჟო (Московская застава), მის მახლობლად, ახლანდელ სასტუმრო „ივერიას“ წინ მდებარებოდა დიდი საფოსტო შენობა (разгонная почта). რომლის ეზოში თავმოყრილი იყო დიდძალი საფოსტო და სამგზავრო ეტლები.

აქედან გზა მიემართებოდა ვერესაკენ. ახლანდელ აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან გზა უხვევდა მარჯვნივ და მცირე დაღმართით აღწევდა ძველ ხიდამდე.

თბილისის ქალაქის საბჭოს მესვეურთა შორის სუფევდა შიში, იმის გამო რომ ვერეს ოთხივე მალი ღრმად იყო ჩაულული მდინარის ვამონარიყში, რითაც შეზღუდული იქნებოდა მდინარის წყლის დენა კატასტროფული ნიაღვრის დროს. მაგრამ მათ რომ შეგნებული ჰქონოდათ ამ ხიდის ისტორიული მნიშვნელობა, მაშინ შეეძლოთ 2-3 მ. სიმაღლის გამონარიყი გრუნტის მოსაშორებლად გამოეყენებინათ რამდენიმე ექსკავატორი და ბულდოზერი, აგრეთვე 2-3 სატვირთო ავტომანქანა. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არ აინტერესებდათ ამ ხიდის ბედი.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ახალი კეთილმოწყობილი გმირთა მოედანი, წარმემორტყმული იყო დიდი, მშვენიერი შენობებითა და ნაგებობებით: ახალი ქვის ხიდით მდ. ვერესზე, თერთმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლით, სახელმწიფო ცირკის შენობით, ფიქრის გორიდან დამყურე საცხოვრებელი სახლებით და სხვ. ამ გრანდიოზულ შენობათა შორის ვერეს ძველი ხიდი საცოდავად გამოიყურებოდა, თითქმის უფრო დაპატარავდა, ჩაიძირა მდინარის კალაპოტში. მიუხედავად ამისა, მან არ დაკარგა თავისი ისტორიული და არქიტექტურული მნიშვნელობა.



ბოლომდე იმედი გვქონდა, რომ გმირთა მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, გამოჩნდებოდა ამ ხიდის გადარჩენის შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ ქუჩების განლაგებას აქ სამ იარუსად ვარაუდობდნენ.

მეტად სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ სათანადო ორგანიზაციებმა თავი არ შეიწყუხეს ამ კეთილშობილური საქმისათვის და სამაგალითო ძველი ნაგებობის გადარჩენას ამჯობინეს უფრო იოლი გამოსავალი, ხიდის მთლიანად მოსპობა-მოშორება.

ასე უაზროდ განადგურდა ისედაც მცირერიცხოვანი ძველი საქალაქო ნაგებობა, რომელიც გარდა მისი თვალსაჩინო ისტორიული მნიშვნელობისა ძველი სამშენებლო ხელოვნების ფასდაუდებელ ნიმუშს წარმოადგენდა.

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“ — ტ. IV ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1973, გვ. 338, 26.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი 1. თბ., 1962, გვ. 61.

<sup>3</sup> H. Klaroth. Voyage au mont Caucase et en Géorgie, Paris, 1823, p. 519.

<sup>4</sup> Впечатления и воспоминания «вожойника». Журнал «Библиотека для чтения», т. 86. СПб, 1848, стр. 41.

<sup>5</sup> ვაზეთი «Кавказ», 1875 წ. 22 აგვისტოს, № 65.

<sup>6</sup> საქართ. სსრ ცენტრ. ისტორ. არქივი—ფონდი 317, აღწ. 2, საქმე 64, ფ. 3-17.

<sup>7</sup> **А. В. Черников.** Древние мосты в Закавказском крае. «Журнал путей сообщения», т. XI. СПб, 1863, стр. 32—35.

<sup>8</sup> პროფესორი მ. მუსხივა. რამდენიმე შენიშვნა თბილისის სიძველეთა შესახებ. ვაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957 წ. 31 აგვისტო.

<sup>9</sup> Документы по социальной истории Грузии. Издание Грузинского Филиала Академии наук СССР, Тбилиси, 1940, стр. 31—32.

<sup>10</sup> **Пл. Иоселиани.** Путевые записки от Тифлиса до Мухета. Тифлис, 1871, стр. 22.

<sup>11</sup> თ. კორძანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა წიგნი II. თბ., 1897, გვ. 157.

**პაპდ. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს  
სახელმწიფო მუზეუმი**

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი საქართველოს ერთ-ერთ უძველეს სამეცნიერო საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ჩამოყალიბდა საიმპერატორო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების (რ. გ. ს.) კავკასიურ განყოფილებასთან, რომელიც 1851 წ. დაარსდა. ამ განყოფილებამ ამოცანად დაისაბა კავკასიის შესწავლა გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სტატისტიკური თვალსაზრისით. ამ მიზნის შესასრულებლად განყოფილებამ გადაწყვიტა საკუთარი ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება. 1852 წ. 10 მაისს განყოფილებას წარედგინა პროექტი კავკასიური მუზეუმის დაარსების შესახებ. ამავე წელს შეიქმნა პატარა სამუზეუმო კოლექცია, შემდგარი უმთავრესად შემოწირულებათაგან. მუზეუმმა იმთავითვე მიიღო არა სპეციალურად ეთნოგრაფიული, არამედ კომპლექსური ხასიათი. მას ქჷონდა სამი კაბინეტი: ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და ისტორიული.

1852 წლის აგვისტოდან მუზეუმს უკვე თავისი ბინა გააჩნდა, რომელიც მდებარეობდა ალ. ჭავჭავაძის და ა. გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში. ბინის შექმნისთანავე დაიწყო ეთნოგრაფიული და საბუნებისმეტყველო კოლექციების შეგროვება. ამავე წელს მოეწყო მუზეუმის პირველი საბუნებისმეტყველო ექსპედიცია ბაიერნის ხელმძღვანელობით. ასეთი ექსპედიციები შემდეგ წლებშიც სისტემატურად იმართებოდა. მუზეუმის ფონდები ძირითადად ამ ექსპედიციების მიერ შეგროვილი მასალებით იზრდებოდა.

მუზეუმმა მოაწყო გამოფენა, რომელიც მნახველთათვის 1855 წ. სექტემბერში გაიხსნა.

მუზეუმის მუშაობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისეთმა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა, როგორც იყენენ მიხეილ თუმანიშვილი და რაფიელ ერისთავი; კერძოდ, ამ უკანასკნელმა შეადგინა ეთნოგრაფიული მასალების კატალოგი.

1861 წლიდან რ. გ. ს. კავკასიურ განყოფილებაში მკვიდრდება აზრი, რომ მუზეუმის არსებობა არახელსაყრელია განყოფილებისათვის, ამიტომ ჯერ უქმდება დირექცია, ხოლო 1864 წ. მუზეუმი იშლება. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ სინანული გამოთქვა მუზეუმის გაუქმების გამო, ხოლო მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, რომ მუზეუმის არსებობა აუცილებელი იყო.

მუზეუმის დაშლიდან ცოტა ხნის შემდეგ, ხელმეორედ დადგა საკითხი მისი დაარსების შესახებ. ამ ხანებში კავკასიის ხელისუფლება დაინტერესდა მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლით. ეს საქმე, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მიერ, დაევალა ბუნებისმეტყველო დოქტორ გუსტავ რადეს. მან 1864 წლიდან კავკასიის სხვადასხვა მხარეში მოაწყო მცირე ექსპედიციები, რის შედეგადაც დაგროვდა დიდალი საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული მასალა. ამ მასალებისა და რადეს მიერ დაგვემილი შემდგომი ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალების დაცვი-



სა და დამუშავების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა მუზეუმის დაარსება 1865 წელს 2 ივნისს დამტკიცდა მუზეუმის დებულება. მუზეუმი ექვემდებარებოდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს უფროსს. მუზეუმში არსებობდა ზოოლოგიის, მინერალოგიის და ბოტანიკის განყოფილებები, ტექნიკური ლაბორატორია და ეთნოგრაფიული კაბინეტი. გამოფენა 1867 წ. იანვარში გაიხსნა.

მუზეუმის კოლექციების ძირითადი ფონდი შეადგინა რ. გ. ს. კავკასიური განყოფილების მუზეუმიდან გადმოცემულმა კოლექციებმა. ასე რომ, 1865 წ. დაარსებული კავკასიური მუზეუმი ფაქტიურად გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმის ბაზაზე აღმოცენდა.

მუზეუმი დაქირავებულ ბინაში, სერგეივის (ახლანდელი მაჩაბლის) ქუჩაზე იყო მოთავსებული. 1868 წ. დაიწყო მუზეუმის ახალი შენობის აგება რუსთაველის პროსპექტზე, იქ სადაც ახლა თანამედროვე მუზეუმის შენობა მდებარეობს. მშენებლობა 1869 წელს დამთავრდა. ამ ახალ შენობაში გამოფენა გაიხსნა 1870 წლის სექტემბერში. ამავე ხანებში მუზეუმს შეუერთდა საჯარო ბიბლიოთეკა და ამიერიდან მას ეწოდებოდა „კავკასიური მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა“.

1881 წ. თბილისში დანიშნული იყო რუსეთის არქეოლოგთა მეხუთე ყრილობა. მუზეუმის ფონდები, განსაკუთრებით კი არქეოლოგიური, მთელი სისრულით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი გამოფენაზე. ამიტომ 1879 წ. დაიწყო მუზეუმისათვის მეორე სართულის დაშენება. მშენებლობა დამთავრდა 1880 წ. შემდეგი წელი გამოფენის მოწყობას დასჭირდა, რომელიც 1881 წ. სექტემბერში გაიხსნა. ამ დროისათვის მუზეუმში ხუთი განყოფილება იყო: გეოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის. 1884 წ. მუზეუმი სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის, ხოლო 1903 წელს დაისვა საკითხი კავკასიური მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებაში გადასვლის შესახებ. სათანადო პროექტების ხანგრძლივი განხილვის შემდეგ 1913 წელს დამტკიცდა მუზეუმის ახალი დებულება. კავკასიურ მუზეუმსა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას ამიერიდან ეწოდებოდა „კავკასიური მუზეუმი“ და კავკასიის მეფისნაცვლის განზღებლობაში ითვლებოდა, სახალხო განათლების სამინისტროს უწყების ხაზით. სამეცნიერო დარგში კავკასიური მუზეუმი ექვემდებარებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას.

მუზეუმის შენობის ავარიული მდგომარეობის გამო, 1913 წელს, დაიწყო ახალი შენობის აგება. ამოყვანილი იქნა შენობის კედლები. პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო მშენებლობა შეჩერდა. დიდი ხნის განმავლობაში, შენობა დაუმთავრებელი იყო და, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ქონება ყუთებში ჩაწყობილი რჩებოდა. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი მშენებლობის დამთავრება.

იმთავითვე მუზეუმი დიდ ყურადღებას აქცევდა სამუზეუმო მასალების მოპოვებას. ამ მიზნით, სისტემატურად, ყოველ წელს, ვწყობოდა ექსპედიციები კავკასიის სხვადასხვა მხარეში. გარდა ამისა, მუზეუმს კავკასიის სხვადასხვა რაიონებიდან ვწავნებოდა შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები.

მუზეუმს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან. იგი უწავნიდა მათ, როგორც თავისი ფონდების დუბლიკატებს, ისევე პუბლიკაციებსაც. მუზეუმის საშუალებით იყო ძირითადად წარმოდგენილი კავკასია, კერძოდ საქართველო, რუსეთისა და უცხოეთის სამეცნიერო წრეებში.

მუზეუმი სისტემატურად ბეჭდავდა სხვადასხვა სახის სამეცნიერო გამოკვლევების და აქვეყნებდა საფონდო მასალებს. რამდენიმეჯერ გამოიყენა გამოფენების მოკლე მგზური. XIX ს. მიწურულს გადაწყდა კავკასიური მუზეუმის კოლექციების კატალოგის გამოცემა 6 ტომად: I. ზოოლოგია, II. ბოტანიკა, III. გეოლოგია, IV. ეთნოგრაფია, V. სიძველენი, VI. მუზეუმის შენობა და ბაღი. ამ პუბლიკაციიდან არ გამოვიდა IV ტომი, VI ტომი კი შეეცვლილი სახით დაიბეჭდა. 1897 წლიდან გამოდის «Известия Кавказского Музея», ხოლო შემდეგ გამოდის «Записки Кавказского Музея», ორ სერიად. სერია A ბეჭდავდა სტატიებს ბოტანიკის, გეოლოგიისა და ზოოლოგიის დარგებიდან, ხოლო სერია B არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგებიდან.

მუზეუმი დაარსების პირველ ხანებში და ფაქტიურად შემდეგშიც ერთადერთი დაწესებულება იყო საქართველოში, სადაც თავს იყრიდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო მუშაობა საისტორიო და საბუნებისმეტყველო დარგებისა. ამდენად, მისი როლი ქართული კულტურის ისტორიაში შეტად დიდია.

მუშაობა მუზეუმში ფართოდ გაიშალა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ყურადღება მიექცა არა მარტო სამუზეუმო ძეგლების შეკრებასა და დემონსტრაციას, არამედ ამ ძეგლთა მეცნიერულ შესწავლას და მეცნიერულ საფუძვლებზე აგებულ გამოფენათა მოწყობას. ამავე დროს, აქამდე შედარებით განცალკევებულად მყოფი მუზეუმი, მჭიდროდ დაუკავშირდა ქართულ სამეცნიერო წრეებს. ჯერ კიდევ 1919 წ. კავკასიურ მუზეუმს ეწოდა საქართველოს მუზეუმი, ჩამოყალიბდა სამეცნიერო საბჭო, რომელშიც გარდა მუზეუმის თანამშრომლებისა შედიოდა უნივერსიტეტის ხუთი პროფესორი. 1921 წ. დასასრულისათვის მუზეუმში 27 თანამშრომელი ირიცხებოდა. სამეცნიერო კადრების ასეთი ზრდა საშუალებას იძლეოდა მუზეუმში მუშაობა გაეილებით ინტენსიურად წარმართულიყო ვიდრე ეს ძველი მცირერიცხოვანი სტატეებით წარმოებდა.

მუზეუმის მუშაობას ძალზე აბრკოლებდა უბინაობა. მუზეუმის შენობა დაუმთავრებელი იყო. 1922 წ. დაიწყო მუზეუმის შენობის დასამთავრებელი სამუშაოები. 1923 წლისათვის დამთავრდა შენობის ერთი ნაწილი, სამხრეთის ფლიეელი, სადაც პომდენო 1924 წელს გაიხსნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველი გამოფენა — ზოოლოგიური გამოფენა, რომელიც ეხლაც მოქმედებს. ილიანად მუზეუმის შენობა 1929 წ. დამთავრდა.

მუზეუმის შენობის აგების შემდეგ მკვეთრად გაუმჯობესდა სამუზეუმო მასალათა აღრიცხვისა და დაცვის საქმე. შესაძლებელი გახდა უბინაობის გამო ყუთებში ჩაწყობილი მასალების გაშლა, მისი სისტემატიზაცია და შეკრება საინვენტარო ჩანაწერებთან. გაუმჯობესდა ფონდების აღრიცხვა. შემოღებულ იქნა მასალის ცენტრალური აღრიცხვა.

სწრაფად იზრდებოდა მუზეუმის ფონდები. მუზეუმის ფონდების ზრდა ძირითადად ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალებით ხდებოდა. მუზეუმის მიერ მოწყობილ ექსპედიციებს პქონდა გემიანი და სისტემატური ხასიათი, რაც გამოიხატებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის თანმიმდევრობით, გარკვეული გემით შესწავლაში, როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით.

სამუზეუმო მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს საექსპოზიციო მუშაობა წარმოადგენს. ამ მხარეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებიდან მიექცა განსაკუთრებული ყურადღება. პირველი გამოფენა, რომე-



საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა (IV-XIII სს.)

Историко - археологическая выставка Грузии (IV — XIII вв.)

ლიც განახლებულმა საქართველოს მუზეუმმა მიაწყო იყო ზოოლოგიური გამოფენა. მას მოჰყვა გეოლოგიური გამოფენა 1931 წ. და ეთნოგრაფიული გამოფენები: 1931 წ. „ხევსურეთის ეთნოგრაფია“, 1932 წ. „სვანეთის ეთნოგრაფია“, 1934 წ. მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა „წინაქლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში“. 1937 წ. მუზეუმმა სხვა დაწესებულებებთან ერთად მიაწყო რუსთაველის საიუბილეო გამოფენა, რომლის ერთი ნაწილი „XI-XII სს - საქართველოს მატერიალური კულტურა“ დიდი ხნის მანძილზე მოქმედებდა, როგორც სტაციონარული ექსპოზიცია. 1941 წ. მუზეუმმა მიაწყო გამოფენა „ქართული კულტურის უძველესი კერები — თრიალეთი და მცხეთა“. 1937 წ. XVII საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით მუზეუმში მოეწყო ექსპოზიციები „საქართველოს მინერალური რესურსები“, „დინამიკური და ისტორიული გეოლოგია“, „თბილისის მიდამოების გეოლოგია“. აღნიშნული გამოფენების ბაზაზე 1955 წ. მოეწყო გამოფენა „საქართველოს სასარგებლო ნამარხები“, რომელიც დღესაც მოქმედებს.

50-იანი წლების დასაწყისში დადგა საკითხი — ერთიანი ეთნოგრაფიული ექსპოზიციის და „საქართველოს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის“ შექმნის შესახებ. ეთნოგრაფიული გამოფენა 1954 წ. მოეწყო. ხოლო შემდეგ წლებში გაიხსნა „საქართველოს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის ამსახველი გამოფენები: „უძველესი დროიდან ა. წ. IV საუკუნემდე“, „საქართველოს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა (IV-VIII სს.)“, „საქართველოს ბურჟუაზიული პერიოდის ექსპოზიცია“ და „საბჭოთა პერიოდის ექსპოზიცია“.

გარდა ამ ძირითადი სტაციონარული ექსპედიციებისა მუზეუმი სისტემატურად აწყობდა და აწყობს თემატურ და სხვადასხვა მოვლენებთან ან საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებულ გამოფენებს, რომელთა ექსპონირება ჯდება როგორც მუზეუმში) ისევე საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

მუზეუმის ფონდებში დაკულია დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მასალები. არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში დაკულია ჩრავალიცხოვანი მასალა, რომელიც სრულად ასახავს ქართულმატერიალურ კულტურას დაწყებული ადრეული აშელის ხანიდან ანტიკური ხანის ჩათვლით.

განყოფილების ფონდში დაკულია აშელის პერიოდის უნიკალური ინვენტარი წონის მღვიმიდან, შიდა ქართლის და იმერეთის სხვადასხვა პუნქტებში მოპოვებული მასალა, მუსტიური ხანის ძეგლები, წოფის, ჯრუჭელის, სვანთა სავანის და სხვა პუნქტებიდან. აქვეა ზედა პალეოლითური მასალა მოპოვებული დევის ხერულში, საკა-ეიაში, გვარჯილას კლდეში, ძუძუნას მღვიმეში, სამურცხლე კლდეში და სხვა ადგი-ლებში.

ფონდში დაკულია ოდიშის, თეთრამიწის, სამელე კლდის და სხვა ნეოლითური მასალა.

მეტად მნიშვნელოვანია ქვაცხელებზე მოპოვებული ადრებრინჯაოს ხანის უნი-კალური მასალა, თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე მასალები, ადრესა-მიწათმოქმედო კულტურები (შულავერი), ბრინჯაოს ხანის უნიკალური ძეგლები, ბრინჯაოს სხვადასხვა პერიოდის მასალები კახეთიდან, ქვემო ქართლიდან, დასავლეთ საქართველოდან.

ანტიკური ხანა წარმოდგენილია ზღუდრის, სამადლოს, ურბნისისა და სხვა გათხ-რების შედეგად მოპოვებული მასალებით.

ძვირფასი ლითონების საცავში დაკულია თრიალეთის, მცხეთის, ვანის, ჟინვა-ლის, კახეთისა და სხვა ექსპედიციების მიერ მოპოვებული უმდიდრესი მასალა, რომ-ელიც ასახავს ქართული ოქრომჭედლობის მაღალ დონეს დაწყებული შუა ბრინჯა-ოს ხანიდან ანტიკური ხანის ჩათვლით.

განყოფილებაში დაკული გლიპტიკური მასალიდან ყურადღებას იპყრობს არმაზ-ში, სამთავროში, ბაგინეთში, კლდეეთში, ურგეში და სხვაგან აღმოჩენილი ნივთები. აღსანიშნავია ასპარუჯ ერისთავის სარდიონზე ამოკვეთილი საბეჭდავი ბეჭედი, ძოწის გემა ქალისა და კაცის გამოსახულებით, ბეჭედი ალ. მაკედონელის გამოსახულებით, აშეთისტოზე ამოკვეთილი ინტალო აქტონის გამოსახულებით, ოქროს მედალიონი აშეთისტოს გემით შემკული, ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები სამთავრო-დან. აქვეა აღმოსავლური ცილინდრების კოლექცია, რომელიც შეიცავს აჭემნიდურ, პაბილონურ, ელამურ და სხვა ძეგლებს.

შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში დაკულია ძვირფასი მასალები შუა საუკუნეების საქალაქო ცხოვრების დასახსიათებლად. ეს მასალები მო-პოვებულია თბილისის, დმანისის, გუდარეხის, ურბნისის, გრემის, გავაზის, ნოქალაქე-ვის, გუდავას, ჭკვიანკას, ნისტეს, კაზრეთ-არუხლოს არქეოლოგიური გათხრების შე-დეგად. მოპოვებულია საყოფაცხოვრებო და სამშენებლო კერამიკის ნიმუშები, ლითონ-ის და მინის ტურჭელი, სამკაული, მონეტები და სხვ. აღსანიშნავია დმანისში აღმო-ჩენილი განძი, ლითონის ტურჭელი და ფაიფურის დიდი ტურჭელი, რომლის მსგავსი საქართველოში ჯერ არ მოიპოვება, აგრეთვე შუხუთის IV-V სს. ნასახლარის აბანოს ვესტიბიულის მოზაიკა.





არქეოლოგიური გამოფენა

Археологическая выставка.

ეთნოგრაფიული გამოფენა

Этнографическая выставка



საინტერესოა განყოფილებაში დაცული, მხატვრულად შემკული ხის ნივთები, თაგრესად კარების კოლექცია, რომლის ერთ-ერთ უძველეს და შეანიშნავ ექსპონატს წარმოადგენს XI ს. ჩუკულის კარი.

აღსანიშნავია აგრეთვე, იმდროინდელი მხატვრების მიერ შესრულებული ქართულ ისტორიულ პირთა პორტრეტები: ვახტანგ VI, ანტონ კათალიკოსი, დავით ბატონიშვილი.

განყოფილებაში მოიპოვება საკმაოდ მდიდარი კოლექცია ირანული ლითონის და თიხის ტურქულია. ამათგან აღსანიშნავია 1182-83 წწ. დათარიღებული გერათის სპილენძის ტურქული, XII-XIII სს ირანული ფაიანსის შესანიშნავი ნიმუშები, ფირსუსენის ცნობილი შორენკეცების კოლექცია.

განყოფილების ქვის ფონდში გარდა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა ინახება აგრეთვე უნარტული, არამეული, ბერძნული, არაბული, სპარსული, სომხური, ებრაული ეპიგრაფიკული ძეგლები.

მრავალფეროვანი მასალა არის დაცული ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში. ყურადღებას იპყრობს სახვნელი იარაღების კოლექცია, კერძოდ დიდი გუთანი, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს საფეხურს გუთნების განვითარებისა ფაბრიკულ გუთნამდე. აქვეა საქართველოში გავრცელებული სახვნელეების სახეობები: რაჭული სახვნელი, ქსნური მთის გუთანი, ფშაური აჩაა და სხვ.

მდიდრულად არის წარმოდგენილი კერამიკა. დაცულია მრავალგვარი ნივთი საქართველოს კერამიკული წარმოების ცენტრებიდან: იმერული ტურქული ხარაგაულიდან, შროშიდან; კახური ტურქული: ნინოწმინდიდან, თელავიდან, ბოდბისხევიდან; ქართლური ტურქული ცხავატიდან, ტურქული ნამიკოლოდან (სამეგრელო); შუენიდან (რაჭა) და სხვა. ამავე ფონდშია, აგრეთვე, დაღესტნური კერამიკის ნიმუშები.

ოქრომჭედლობა წარმოდგენილია, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოპოვებული ნიმუშებით, ისე აზერბაიჯანული და დაღესტნური მასალებით.

განყოფილებაში დაცულია აგრეთვე ქართული და კავკასიის სხვა ხალხების ტანსაცმლის მდიდარი კოლექციები. მათ შორის ქართული ეროვნული ტანსაცმელი. ტომობრივი კოსტიუმები: ხევსურული (მუზეუმში შემოსულია 1854 წ.), თუშური (შემოსულია 1852 წ.), ქართლური, კახური, გურული ჯაქურა, მეგრული, აჭარული, ქიზიყური, ფშაური, აფხაზური, სვანური.

აქვე ინახება საბრძოლო იარაღები: ხევსურული ფარი (მუზეუმში შემოსულია 1854 წ.), ერყლე II ორი თოფი, მისივე ზმალი, სოლომონ II თოფი, ბაქარის თოფი და სხვ.

ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცულია ქართული მონეტების უმდიდრესი კოლექცია დაწვებული პირველი ქართული ფულით — კოლხური თეთრით, დამთავრებული XIX ს. პირველ მესამედში მოჭრილი ქართულ-რუსული მონეტებით.

უცხო ქვეყნების მონეტებიდან ფონდებში ინახება იშვიათი სასანური ოქროს მონეტები (V ს.), იშვიათი არაბული ოქროს მონეტები (VIII-IX სს.), ბიზანტიური ოქროს მონეტები (V-XIVსს.), ევროპული მონეტები.

ქართული ხალხის ეკონომიური მდგომარეობის, კულტურის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული ახალი ისტორიის და საბჭოთა პერიოდის ისტორიის განყოფილებებში.

მუზეუმის ფონდებში თვალსაჩინო ადგილი უკავია გეოლოგიურ, ზოოლოგიურ და ბოტანიკურ მასალებს.



საქართველოს ისტორიულ-არქეოლო-  
გურა გამოფენა (1921-1971 წწ.)

Историко - археологическая вы-  
ставка Грузии (1921 — 1971 гг.)

გეოლოგიის განყოფილების ფონდებში აღსანიშნავია ურმიის ხერხემლიანთა ფაუნის კოლექცია, მოპოვებული 1916 წ. ეს კოლექცია ერთადერთი ეგზემპლარია საბჭოთა კავშირში დაეით გარეჯის უდაბნოს რაიონში აღმოჩენილი ადამიანისმაგვარი მაიმუნის (პიტეკანტროპუს გარეჯინჯის) კბილი. საბჭოთა კავშირში ადამიანთან ასე ახლო მდგომი მაიმუნის ნაშთი ჯერჯერობით არსად არ არის ნაპოვნი.

განყოფილებაში ინახება საქართველოს გეოლოგიის ამსახველი მასალა, აქვეა დაცული საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა რაიონებიდან საქართველოს და კავკასიის გეოლოგიის პირველი შემსწავლელების მიერ (აბისა, სიმონოვიჩი, ბაცევიჩი, ბაიერნი, წულუკიძე და სხვ.) მოპოვებული მასალები.

დიდი მნიშვნელობისაა პარიზის მესამეული აუზის პალეონტოლოგიური კოლექცია, რომელიც კლასიკურ შესადარებელ მასალას წარმოადგენს სხვა ადგილების მესამეული ფაუნისათვის. მსგავს შესადარებელ მასალას წარმოადგენს ახალციხის მესამეული ფაუნა, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის პალეოგენური ფირამინიფერები და სხვა, რომლებიც სრულად არის წარმოდგენილი განყოფილების ფონდებში.



საინტერესოა აგრეთვე საქართველოს ცარცული და მეს. მეული ბრაქიოდები (მხარ-ლიქინჯა ფეხიანები) და დასავლეთ საქართველოს პლიოცენური ფაუნა.

ბოტანიკის განყოფილების ფონდებში დაცული მცენარეთა კოლექციები, თავისი შემადგენლობით იშვიათ ფლორისტულ მასალას წარმოადგენს. აქ თავმოყრილია მცენარეთა ნიმუშები თითქმის მთელი მსოფლიოდან, განსაკუთრებით კი კავკასიის ყველა კუთხიდან.

დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს კავკასიის ფლორის ჰერბარიუმს. იგი კავკასიის ფლორის ფონდებს შორის უძველესთაგანია და ამ მხრივ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ლენინგრადის ბოტანიკური ინსტიტუტის ჰერბარიუმს აქვს უპირატესობა. კავკასიის ფლორის ჰერბარიუმიდან გამოყოფილია აუტენტიკები ე. ი. დედანი ნიმუშები, რომელთა მიხედვით მოხდა მცენარის პირველი მეცნიერული აღწერა.

ბოტანიკის განყოფილებაში დაცულია აგრეთვე უცხო ქვეყნების მცენარეთა ნიმუშები (ვეროპული, შუა-აზიის, ირან-თურქეთის და სხვა ქვეყნებისა).

ზოოლოგიის განყოფილებაში დაცულია მრავალი ენდემური ფორმა ძუძუმწოვრებისა: ჯიხვი, კავკასიური ირემი, კავკასიის მთის მელა, მტკვრის კურდღელი და სხვ. აქვე არის წარმოდგენილი არა ენდემური, მაგრამ მეცნიერებისათვის მეტად საინტერესო ფორმები. განყოფილების ფონდებში არის ენდემური ფორმის ფრინველები, თევზების სხვადასხვა სახეობა, მწერების უმდიდრესი კოლექცია.

საქართველოს მუზეუმის ფონდებში დაცულია დიდი ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობის მასალა. ამ მასალის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია საქართველოს და საერთოდ კავკასიის მატერიალური კულტურის და ისტორიის სრულყოფილად შესწავლა. ამის გამო, საქართველოს მუზეუმი სამართლიანად ირიცხება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს და უმდიდრეს მუზეუმთა რიგებში.



**0. ბრიშაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-  
ეთნოგრაფიული მუზეუმი**

ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითსა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებას. იგი კრებს, იცავს, მეცნიერულად შეისწავლია და სტაციონარული ექსპოზიციის საშუალებით დამთვალეიერებულს აცნობს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

მუზეუმი საკმაოდ „ხანდაზმულია“.

„ტფილისის საქალაქო უპრავის“ 1909 წ. 23 დეკემბრის დადგენილებით გადაწედა: 1910 წელს, თბილისში საქალაქო თვითმმართველობის არსებობის 35 წლის-თავთან დაკავშირებით, დაარსებულიყო „ქალაქის მუნიციპალური მუზეუმი“. 1910 წ. 29 მაისს „საქალაქო უპრავამ“ დამატკიცა მუზეუმის „პროგრამა“.

აღნიშნულ პროგრამაში ზოგიერთი პუნქტი, მართლაც საინტერესოა. მაგ., „პროგრამა“ ითვალისწინებდა, რომ მუზეუმში წარმოდგენილი ყოფილიყო ქალაქის ისტორია, ძველი გვემები, ხედები, რელიეფი, ტერიტორიული ზრდა, კლიმატი, კომუნალური მეურნეობა, ბიუჯეტი და სხვ. მაგრამ ძირითადი აქცენტი ამ „პროგრამის“ მიხედვით გამსხვილებული იყო ქალაქის თავებისა და ხმოსნების ცხოვრება-მოღვაწეობის ჩვენებაზე, არჩევნება და არჩევნების დროს გაწეულ ხარჯებზე და სხვ. (იხ. «Известия Тифлисской Городской Думы», № 5—6, Тифл., 1910 г.)

ამრიგად, აღნიშნული პროგრამა ბურჟუაზიული თბილისის მმართველი კლასის იულისკვეთების გამოზნატველი იყო და, ცხადია, სრულიად არ ითვალისწინებდა არც თბილისის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის ეროვნულ ნიადაგზე ჩვენებას, არც მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრების წარმოჩენას. უფრო მეტიც, პროგრამაში საერთოდ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ როგორ, რა გზით, რა საშუალებით, ან რა სახის ექსპონატები უნდა შეეკრიბა მუზეუმს. მუზეუმი კი, მხოლოდ იქმნებოდა და საამისო გამოცდილება ან პრაქტიკა არ არსებობდა.

ჩანას, სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ პირველ მსოფლიო ომამდე მუზეუმში რამდენიმე ფოტოსურათის, ალბომისა და მხატვრული სურათის შეგროვება შეძლეს და ფაქტიურად იგი თითო-ორთლა ნივთის საწყობს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე მუზეუმს.

პირველი მსოფლიო ომის დროს ქალაქის მუნიციპალური მუზეუმისათვის არავის ეცალა. ამას მოჰყვა რევოლუცია და მენშევიკური მთავრობის ბატონობა საქართველოში. არც ამ დროს გახსენებით ქალაქის მუნიციპალური მუზეუმი. იგი ფაქტიურად აღარ არსებობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა ეროვნული კულტურის წინსვლის საქმეს. 1924 წ. აღდგენილი იქნა ქალაქის მუნიციპალური მუზეუმი, რომელსაც „ტფილისის აღმასკომის მუზეუმი“ ეწოდა. ამ დროიდან დაიწყო თბილისის ისტორიისა და ყოფის ამსახველი ექსპონატების შეგროვება. ამ ექსპონატების ბაზაზე 1925 წ. მუზეუმმა მოაწყო პირველი გამოფენა თემაზე „ძველი ტფილისი“. 1928 წ. მოეწყო გამოფენა „ახალი ტფილისი“, ხოლო 1931 წ. ერთდროული გამოფენა „კომუნალური მეურნეობის მიღწევები ტფილისში“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მუზეუმის მიერ 1941 წ. მოწყობილი გამოფენა „თბილისის საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავზე“.

აღნიშნული გამოფენების მოსაწყობად, რა თქმა უნდა, სათანადო ნივთიერ-დოკუმენტური მასალების შეგროვება იყო საჭირო. სწორედ ამ პერიოდში მუზეუმში თავმოყრილ იქნა ისეთი ექსპონატები, როგორცაა: ლ. გუდიაშვილის, მ. თოიძის, ელ. ახვლედიანის, ფოკლის, ზომმერის, ტირის და სხვა გამოჩენილ მხატვართა შესანიშნავი ტილოები, ძველ თბილისელთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნივთიერ-დოკუმენტური მასალები, თბილისის ძველ ნაგებობათა ბრწყინვალე მაკეტები და სხვ.

მუზეუმი წლითიწლით იზრდებოდა და ღონიერდებოდა. მალე მან ღირსეულად დაიმკვიდრა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ჩვენს რესპუბლიკის სამუზეუმო ცხოვრებაში. ამიტომ იყო, რომ 1943 წ. პროფილის შესაბამისად, მას „ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი“ ეწოდა და მეორე კატეგორიაში იქნა გადაყვანილი, ხოლო 1964 წ. პირველ კვლევაში.

მუზეუმი 1925 წლიდან მოთავსებული იყო რუსთაველის პროსპექტზე, მოჭადრაკეთა ყოფილ კლუბში (უფრო ადრე ეს შენობა ეკლესიას წარმოადგენდა), ხოლო 1936 წელს გადატანილ იქნა კომკავშირის ხეივნის ბოლოს, ბოტანიკური ბაღის ყოფილ შენობაში.

თბილისის სახელმწიფო მუზეუმის წინსვლა-განვითარების საქმეში თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის აწ განსვენებულ ნ. ბადრიაშვილს (1892-1961 წწ.), რომელიც 1924-1958 წწ. ხელმძღვანელობდა მას.

ნ. ბადრიაშვილი თვითონ იყო თბილისის ძველი ყოფა-ცხოვრების მოწმე. ამ ფაქტმა გაუადვილა მას ძველი თბილისის საკითხებზე მრავალრიცხოვანი საგაზეთო თუ საეურნალო სტატიების, აგრეთვე, რამდენიმე წიგნის შექმნა-გამოქვეყნება („ტფილისი დაარსებიდან XIX საუკუნემდე“, „დოკუმენტები 1905 წ. რევოლუციის შესახებ თბილისში“, „თბილისი“ და სხვ.).

ასე, რომ გარდა მუზეუმის წინსვლა-განვითარებისა, ნ. ბადრიაშვილს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის თბილისის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროპაგანდის საქმეშიც.

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საქმიანობაში ახალი ეტაპი დაიწყო 1954 წლიდან, როდესაც საფუძველი ჩაეყარა არქეოლოგიური დაწვევებისა და სტაციონარული გათხრების ჩატარებას.

ცნობილია, რომ თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია. წერილობით წყაროებში იგი, როგორც საკმაოდ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის „ციხე-ქალაქი“ პირველად ახ. წ. IV ს. იხსენიება. ამიტომ თბილისის ისტორიის მეცნიერული შესწავლა და ნივთიერი ძეგლებით ექსპოზიციაში წარმოდგენა ახ. წ. IV საუკუნემდე მხოლოდ და მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლებითაა შესაძლებელი. არქეოლოგიურ ძეგლებს უაღრესად დიდი მეცნიერული და ემოციურ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ფეოდალური ხანის თბილისის ისტორიის წარმოჩენის დროსაც სტაციონარულ ექსპოზიციაში.

სამწუხაროდ, 1954 წლამდე თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს არქეოლოგიური ძეგლები საერთოდ არ გააჩნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1933 წ. ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩენილ ფეოდალური ხანის თიხის ტურქელის მშენებელთა ნაწილს, რომელიც მუზეუმის ექსპოზიციაში უსიტემოდ იყო წარმოდგენილი.

ამიტომ, აუცილებელი გახდა არქეოლოგიური დაზვერვებისა და სტატისტიკური გათხრების საშუალებით მოგვეპოვებინა, მეცნიერულად შეგვესწავლა და სტატისტიკურად ექსპოზიციაზე წარმოგვედგინა ის არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა საშუალებითაც აისახებოდა თბილისის ისტორია ფეოდალურ ხანაში და ფეოდალურ ხანაშიც.

საერთოდ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით თბილისის დღევანდელი არაა სათანადოდ შესწავლილი. ამიტომაც გვიჭირს მეცნიერულად დაეკასბუთოთ თუ როდის იქნა ბინადარი მოსახლეობის მიერ ათვისებული თბილისის ისტორიკოსია, რომელსაც ფეოდალური ხანის ქალაქი მოიცავდა და, რომელიც ძირითადად, დღევანდელი კირივის სახ. რაიონით და მეტეხ-ავლაბრის მიდამოებით შემოიფარგლებოდა; დღემდე ვერც იმ კითხვაზე გავიყვანა მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი, თუ რატომ გამოიწვია IV ს. სპარსელი მოხელე-პიტაქსის „ციხე-ქალაქი“ თბილისში დამკვიდრებამ ქართლის სამეფოსა და მისი მეზობელი ქვეყნების დახარკვა. ნაკლებ საინტერესო როდია იმ საკითხის გარკვევაც, თუ რატომ იხსენიება თბილისი წერილობით წყაროებში პირველად ქართლში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვისას და რატომ ართმევს იგი პირველობას მონათმფლობელური ქართლის დედაქალაქს — მცხეთას ფეოდალიზმის გამარჯვებისთანავე. საინტერესოა, აგრეთვე, იმ საკითხის გარკვევაც, თუ რატომ იწოდებოდა თბილისი ახ. წ. VI საუკუნიდან მთელი საქართველოს დედაქალაქად, ერთადერთ „ქალაქად“, მაშინაც კი, როდესაც იგი ფაქტიურად უცხოელთა ზატონობის ქვეშ იყო საუკუნეების განმავლობაში, ან მხოლოდ ამერეთის (აღმ. საქართველოს), ქართლისა თუ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

თბილისის ისტორიასთან დაკავშირებული, ყველა ზემოაღნიშნული, პრობლემური საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა სრულიად შეუძლებელია მატერიალური კულტურის ძეგლების მეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე.

თბილისის წარსულის კვლევა-ძიება და პროპაგანდა სხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის პირდაპირი მოვალეობაა.

ამ მიზნით თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა 1954 წ. დაიწყო არქეოლოგიური დაზვერვები თბილისში და თბილისის მიდამოებში. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სწორად გაიგო და შეაფასა მუზეუმის წინაშე მდგარი ამოცანები და ყოველმხრივ დაუჭირა მას მხარი. არქეოლოგიური დაზვერვები შემდგომ წლებშიც გაგრძელდა და საკმაოდ კარგი შედეგიც მოგვცა. ამ შედეგების შესახებ ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგანაც მეცნიერული ანგარიშები ამის შესახებ უკვე გამოქვეყნებულია და დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომი (იხ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I. თბ., 1966, გვ. 13-53 და სხვ.). აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ დაზვერვების შედეგად ბევრი საინტერესო ნივთი აღმოჩნდა, რითაც საგრძნობლად შეივსო მუზეუმის ფონდები. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნავთლულში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის მდიდრული ორმო-სამარხის ინვენტარი, ნახშირგორაში მიკვლეული ადრეფეოდალური ხანის ჭების სამარხის ინვენტარი (მათ შორის, ტყავის ფეხსაცმლის ნაშთი), ოქროყანის წყალსადენი, დიდშის ველზე ე. წ. ნატბების გორაზე აღმოჩენილი ნივთები და სხვ.

ამ ძეგლების აღმოჩენის შედეგად, საგრძობლად გამდიდრდა მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიცია.

სადაზვერვო სამუშაოების შემდეგ, რეალურად დაისვა საკითხი სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შესახებ.

1956 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტთან ერთად, თბილისის სახელმწიფო მუზეუმმა ერეკლე მეორის სახ. მოედანზე დაიწყო სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები, რომელიც ორ წელიწადს გრძელდებოდა. ამ გათხრების შედეგზეც არ შევაწყენთ თავს მკითხველს, რადგან მონოგრაფია ამის შესახებ დიდი ხანია გამოიცა (იხ. ი. გმელიშვილი, თ. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961). უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II სახ. მოედანზე აღმოჩენილი მასალები დაედო საფუძვლად თბილისის სახელმწიფო მუზეუმში 1958 წ. მოწყობილი საიუბილეო გამოფენის იმ მონაკვეთს, რომელიც IV-XVIII სს. თბილისის ისტორიას ასახავს.

რადგან სიტყვა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაზე ჩამოვარდა, აქვე იხივ უნდა აღვნიშნოთ რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინიციატივით 1966 წ. დაიწყო და დღემდე გრძელდება თბილისის დედაციხის არქეოლოგიური შესწავლა. ამ დიდ საქმეს თბილისის მუზეუმთან ერთად, სათავეში უდგას აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

თბილისის დედაციხის თხრის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ თვალსაზრისით საკმარისია თუნდაც მარტო ეკლესიის (რომელიც მეტეხის ტაძრის მსგავსი და ტოლია), სასახლის, აბანოს, წყალსადენისა და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთების აღმოჩენა. აღნიშნულ მონაპოვარს ემატება მოტიქული და მოუტიქაეი, აგრეთვე ფიანისისა და ფაიფურის დიდალი და მრავალფეროვანი ჭურჭელი, სხვადასხვა პერიოდის მონეტები, საბრძოლო იარაღები და სხვ., რომელთა აღმოჩენით არა მარტო გამდიდრდა მუზეუმის ფონდები, არამედ საშუალება გვეძლევა მყარი მეცნიერული დასკვნებზე გავაკეთოთ თბილისის ისტორიის მრავალ საკითხზე.

ამრიგად, სადაზვერვო თუ სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მუზეუმს შეემატა ათასობით ექსპონატი, რომელთა ბაზაზე შეაძლებელი გახდა სენციურულად დასაბუთებული სტაციონარული ექსპოზიციის მოწყობა. ამას კი გადამსწვევტი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ექსპოზიცია მუზეუმის სარკვე. ექსპოზიციის საშუალებით ეწევა მუზეუმი მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას, ექსპოზიციაში ვლინდება მუზეუმის თანამშრომელთა რთული და შრომატევადი მუშაობის შედეგი. რაც უფრო მეტად დასაბუთებული და ემოციურია ექსპოზიცია, მით უფრო უადვილდება მნახველს მისი აღქმა-შეთვისება.

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს საექსპოზიციო მუშაობის კარგი ტრადიცია აქვს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, პირველი გამოფენა მუზეუმმა ჯერ კიდევ 1925 წ. მოაწყო. ამის შემდეგ კიდევ მრავალი გამოფენა-ექსპოზიცია იქნა მოწყობილი. თანდათან უმჯობესდებოდა ამ გამოფენა-ექსპოზიციების შინაარსი და ტექნიკური დონე. დღეისათვის თბილისის სახელმწიფო მუზეუმში 1966 წ. მოწყობილი რევოლუციამდელი პერიოდის ამსახველი სტაციონარული ექსპოზიცია, შინაარსობრივად თით-



ქმის მთლიანად აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, მაგრამ საგამოფენო ტექნიკით ვეღარ პასუხობს თანამედროვე მწახველის გემოვნებას. ამიტომ მისი რეექსპოზიციის მომავალ წელსა დაგეგმილი. რაც შეეხება საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველ სტაციონარულ ექსპოზიციას, რომელიც 1973 წ. მოეწყო დღეისათვის საუკეთესოადა მიჩნეული.

საგამოფენო-საექსპოზიციო მუშაობის ხაზით დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მუზეუმის მიერ 1970 წ. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში მოწყობილი გამოფენა „თბილისი და თბილისელები 1941-1945 წწ. დიდ სამამულო ომში“.

საქმე იმაშია, რომ მზგაჳნი გამოფენა თბილისში მანამდე არ ყოფილა. უფრო მეტიც, ამ თემაზე ნივთიერ-დოკუმენტური მასალებიც კი არ იყო შეგროვილი გამოფენის მოსაწყობად.

მუზეუმის თანამშრომელთა დაძაბული შრომის შედეგად, მოკლე დროში მოხერხდა სათანადო ექსპონატების შეგროვება. ამ ექსპონატების ბაზაზე 1970 წ. 9 მაისს გაიხსნა აღნიშნული გამოფენა, რომელმაც უაღრესად დიდი მოწონება დაიმსახურა მოსახლეობაში. შინაარსობრივად და მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით იგი ნამდვილად საუკეთესო იყო მუზეუმის მიერ მოწყობილ გამოფენებს შორის. (სხვათა შორის მუზეუმის პრაქტიკაში პირველად ამ გამოფენაზე იქნა გამოყენებული დოკუმენტური კინოფილმების ჩვენება და სამამულო ომის დროინდელი მუსიკის გადაცემა საგამოფენო დარბაზში, რასაც დიდი ემოციური ზემოქმედება ჰქონდა).

საგამოფენო-საექსპოზიციო მუშაობის ხაზით მუზეუმმა კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწია 1973 წელს, როდესაც ქ. მოსკოვში, სსრ კავშირის რევილუციის ცენტრალურ სახელმწიფო მუზეუმში მოაწყო გამოფენა — საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ერთიან, ძმურ ოჯახში“. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში სოციალისტური საქართველოს მიღწევების ამსახველ გამოფენას აწყობდა და ისიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ქ. მოსკოვში. სხვათაშორის, აღნიშნული გამოფენა მიძღვნილი იყო სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მუზეუმის წინაშე მდგარ ამოცანას. ეს რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა მუზეუმმა წარმატებით გადაჭრა. სათანადო კომისიისა და დამთავალიერებელთა ერთსულოვანი აღიარებით გამოფენა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო სხვა რესპუბლიკების მიერ მოწყობილ გამოფენებს შორის. ეს ფაქტი სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სპეციალურ ბრძანებაშიც ხაზგასმით აღინიშნა.

თბილისის სახელმწიფო მუზეუმის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რომელიც მუზეუმში დაცული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ექსპონატების ბაზაზე წარმოებს. მუშაუდება სამეცნიერო თემები თბილისის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ცალკეულ საკითხებზე, დგება კატალოგები, მეცნიერული პასპორტები და კარტოთეკები ფონდებში დაცულ ექსპონატებზე. 1961 წლიდან პრაქტიკაში დაინერგა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების მოსმენა სამეცნიერო სესიებზე, გამოიცა მუზეუმის „შრომები“ (ტ. I, თბ., 1965), თბილისის მეგზურები, მუზეუმის გამოფენების ბუკლეტები, მონოგრაფიები, მეთოდური წერილები, სტატიები სპეციალურ ჟურნალებსა და პრესაში და სხვ.



მუზეუმის პერსპექტიული სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია მეცნიერულად იქნას შესწავლილ-გაშუქებული „ძველი თბილისის“ ანუ ფეოდალური ხანის გალავანს შიგნით მოქცეული ქალაქის და მისი გარეუბნების ისტორია; ახალი „დიდი თბილისის“ ტერიტორიის ბინადარი მოსახლეობის წარსული, აწმყო და მომავლის პერსპექტივები, თბილისის გარშემო მდებარე სოფლების მეურნეობა და ყოფა წინათ და ახლა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალისტური თბილისის ისტორიის შესწავლას.

ამ რთული და საპატიო ამოცანის წარმატებით გადაჭრით, მუზეუმი თავის წვლილს შეიტანს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა პესრულების პროპაგანდისა და, საბჭოთა ხალხის პატრიოტული და ინტერნაციონალური ხელისკვეთებით აღზრდის საქმეში, მოსახლეობაში მეცნიერული ცოდნის გავრცელების თვალსაზრისით.





**ბავუფრთხილეთ, ბავყნოთ ძაგლებს**

საქართველოს დედაქალაქს — თბილისს არა ერთი და ორი მნახველი მოუხიბლავს თავისი განუმეორებელი სილამაზით, მრავალფეროვანი პანორამით. ხუროთმოძღვრული ნაგებობები — კულტურის ძეგლები, რომლებიც მრავლადაა განლაგებული ქალაქის სხვადასხვა უბნებში, დედაქალაქის დამახასიათებელ კოლორიტს ქმნიან და მეტ ეშხსა და ლაზათს მატებს მის გარემოს.

თბილისის მიწის ყოველ მტკაველს თავისი შენებისა და ნგრევის ისტორია აქვს. მრავალჯერ გადამწვარი და ფერფლიდან აღმდგარი დედაქალაქი ერთ-ერთი უმძველესი თავისი დღევანდელი არქიტექტურითა და ძველი უბნებით, რაც ჩვენი ერის უკვდავებაზე, მის დიდ შემოქმედებით ნიჭზე მეტყველებს.

ვინ მოთვლის, რამდენმა სტუმარმა უძღვნა გულწრფელი, შთაგონებული სტრიქონები ქართველი ხალხის შემოქმედებითი ენერგიის ნაყოფს — მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძეგლებს, რომლებითაც თავს ვიწონებთ და ვამაყობთ შთამომავალნი.

ჩვენი ასლა ყოველგვარი პირობებია იმისათვის, რომ ვიცავდეთ ვუფროსი დღეობით მათ, ისინი ჩავაყენოთ მისი ნამდვილი შემოქმედის — მშრომელი ხალხის სამსახურში, როგორც ქართული მატერიალური კულტურის პროპაგანდის კერები, ჩვენი ახალგაზრდობის ესთეტიკური და პატრიოტული გრძნობით აღზრდის ხელშეწყობის ძეგლები.

თბილისის სახის შენარჩუნებისათვის იღწიან ჩვენი ნიჭიერი არქიტექტორები. გარკვეული თანხა ინარჩუნებენ კულტურის ძეგლთა აღდგენა-გამაგრებისათვის, იბეჭდება შრომები, გზამკვლელები და სხვ. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს თითოეული თბილისელი, უპირველეს ყოვლისა ძეგლთა დაცვის რაიონული საბჭოები და მათი აქტივი.

აღბათ სულ მალე თბილისელები მიიღებენ კარგ საჩუქარს საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის სახით, რომელსაც საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა კუნ ტბასა და ვაკის პარკს შორის. აქ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, დამახასიათებელ გარემოში, წარმოდგენილი იქნება ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის ხუროთმოძღვრებისა და ყოფის დამახასიათებელი ექსპონატები.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, ჯერ კიდევ, ჩვენი ბევრი თანამოქალაქე ვალშია თბილისის წინაშე. ცუდად იციან ან არ იციან ქალაქის წარსული, ნაკლებად იცნობენ მის ხუროთმოძღვრებას, კიდევ მეტი, არა მარტო მოქალაქენი, ზოგიერთი ორგანიზაციის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით ძეგლები ნადგურდება, თავისი იერსახე ეკარგება და თუ დროულად არ იქნა მიღებული ზომები მათ დაღუპვა უკლით.

როგორც იქნა მოგვარდა თბილისში კიროვის რაიონში ბეთლემისა და კლდის უბნის ეკლესიების საკითხი, რომლებიც მუნიციპალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების სუვენიერების საამქროს ეკავა. მართალია ეს ეკლესიები გაანთავისუფლეს, მაგრამ დატოვეს დანაკვიანებული, დატყნარული და დამახინჯებული სახით. ამ სახითვე ჩაიბარა საქ. სსრ სამხატვრო აკადემიამ, რომელთა გამოყენებასაც იმედია იგი შეძლებს.

მოუვლლობით გაპარტახებამდგა მიყვანილი დარეჯანისეული სასახლე და კარის ეკლესია, აქ ერთ დროს 26 კომისრის სახ. რაიონის შრომითი დიდების მუზეუმი



დარჯის სასახლე

Дворец Дардж

იყო მოწყობილი, რომელიც დამთვალეიერებელთა ცხოველ ინტერესს იწვევდა. ასლა მუზეუმის კვალიც კი აღარ არის დარჩენილი.

გაქიანურებული რეკონსტრუქციისა თუ რესტავრაციის წყალობით ფორაქიშვილების დარბაზიც დანგრევის პირზეა, რაც ადგილობრივ მოსახლეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

თითქმის უკვალოდ ქრება ცნობილი თვითნასწავლი მხატვრის გიგო ზაზიაშვილის ნამუშევარი წმინდა ნიკოლოზის ვკლესიაში, სადაც მოთავსებულია ფირმა „მელოდიის“ საწყობი და მის დაცვაზე არავინ ფიქრობს, უფრო მეტიც, ისედაც დაზიანებულ ძეგლს კაპიტალური მინაშენები გაუკეთდა, რაც კიდევ უფრო ამახინჯებს მას.

უფიქრობთ, ორგანიზაციას, რომელსაც ვკუთენის ეს ძეგლები, მეტი სიმკაცრის გამოჩნა მართებს იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც უკავია ძეგლები.

კარგი იქნება თუ ტურისტთა რესპუბლიკური და საქალაქო საბჭო მეტ ინტერესს გამოიჩენს თბილისის ძველ უბნებში ტურისტული მარშრუტების მოწყობისადმი, რასაც წინ უნდა უსწრებდეს ამ უბნების კეთილმოწყობა მათი მომზადება-დამთვალეიერებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლების მიზანშეწონილად გამოყენებისათვის გადაიდგა მთელი რიგი სერიოზული ნაბიჯები: ლურჯ მონასტერში მოეწყო ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, მეტეხში ახალგაზრდობის ექსპერიმენტული თეატრი და სხვ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ამინდს არ ქმნის.

ამის მიზეზი ისიცაა, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად ვიცნობთ თბილისის ისტორიას, მისი ხუროთმოძღვრების ძეგლებს. ამისათვის თავისი სიტყვა უნდა თქვან ლექტორ-სპეციალისტებმა. უნდა მოეწყოს თეორიული კონფერენციები, თემატური საღამოები,



ზედი დარიას სასახლის აივნიდან.

Вид с веранды дворца Дарья.

რამიც უნდა ჩავაბათ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებიც აშენებენ და აპროექტებენ ჩვენ ქალაქსა და მის ცალკეულ უბნებს

ამჟამად, ქალაქის რაიონებში საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა ძალებით სისტემატურად იკითხება ლექციები: მაგალითად, გასულ წელს კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონულმა საზოგადოებებმა „ცოდნის“ ლექტორთა მეშვეობით პირველად ორგანიზაციებში ჩაატარეს 300-ზე მეტი ლექცია. მსმენელთა შორის დიდ ინტერესს იწვევს აკადემიკოს ვ. ბერიძის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შ. კვასხვაძის, დოცენტების თ. სანიკიძის, თ. ჩოჩუას, ი. უზნაძის, ლექტორების ირ. ზაქარიაშვილის, შ. პაპიძის და სხვათა ლექციები.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა თბილისის ხუროთმოძღვრების, მისი წარსულის, მისი მომავლის შესახებ უფრო მეტად იქნეს გამოყენებული პრესა, რადიო და ტელეკავშირის საშუალებანი.

მეტი მუშაობა მართებთ ძეგლთა დაცვის რაიონულ და პირველად ორგანიზაციებს. თბილისის კულტურის ძეგლთა პროპაგანდა მათი ღვიძლი საქმეა, ხოლო რაიონული საბჭოების პრეზიდიუმები უნდა დაინტერესდნენ ამ საკითხებით. სასურველია ლექციები ზოგჯერ უშუალოდ ძეგლებთან ტარდებოდეს, მათ საამისოდ პირობებიც აქვთ და საშუალებებიც.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ამავე დროს სასურველია ლექციების, კონფერენციების ჩატარებისას აქტიურად გამოვიყენოთ თვალსაჩინოების ისეთი საშუალებები, როგორცაა დიაფილმების და კინოფილმების ჩვენება, აგრეთვე მხატვრული კითხვა, ეს კი ხელს შეუწყობს არა მარტო ძეგლების შესახებ მეცნიერული ცოდნის განმტკიცებას, არამედ აღძრავს მისი დაცვისა და მოვლა-პატრონობის სურვილს.

---

## XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქუთაისის ქალაქთმშენებლური განვითარება

ქუთაისის, ისე როგორც მთელი რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში, უდიდესი გავლენა მოახდინა 1861 წლის საბატონყმო რეფორმამ. განთავისუფლებული, მაგრამ უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხები იძულებულნი იყვნენ ქალაქში ვეძიათ სამუშაო; ქუთაისის ეკონომიურ ცხოვრებაში ჩაერთო იაფი მუშახელი, რამაც ბიძგი მისცა აქ კაპიტალიზმის განვითარებას. მეორე მხრივ, რუსეთის თვითმპყრობელობა ყოველმხრივ უშლიდა ხელს იმპერიის სასახლეო ქვეყნებში მრეწველობის განვითარებას. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებას დამყარებამდე ქუთაისი რჩებოდა პროვინციულ-მეშენაურ ქალაქად, რომლისთვისაც მთავარი იყო ადმინისტრაციული ფუნქციები და მეტ-ნაკლებად განვითარებული ხელოსნობა და ვაჭრობა.

რეფორმის შემდეგდროინდელი ქალაქი სწრაფად ვითარდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ 1861-1897 წლებში მოსახლეობის რაოდენობა აქ 6-ჯერ გაიზარდა. საბოლოოდ ყალიბდება ქალაქის სავაჭრო ცენტრი. თავდაპირველად ის განლაგებული იყო ჯაჭვის ხიდის მიდამოებში, ახლა კი იზრდება ადუკატების (ბროსეს) ქუჩისა და ხელთუფოვის შესახვევის (დღეს განაშენიანებულია) ხარჯზე, აგრეთვე ბაზრის (ლერმონტოვის) და ხორციის (ტელმანის) ქუჩების გასწვრივ. XIX ს. 70-იან წლებში მიხეილის (ფალიაშვილის) ქუჩის დასაწყისში, თანამედროვე ცენტრალური მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხში, აგებენ ე. წ. „ყაფანს“. ეს იყო უკედლებო, გვეგამო რკაწახანაგოვანი შენობა, რომლის დაბალი პირამიდისებრი გადახურვა თაღების მეშვეობით ეყრდნობოდა რვა, კვადრატული გვეგამო მქონე სვეტს.

ვაჭრობის ზრდასთან დაკავშირებით ძველი ბაზარი ვეღარ აკმაყოფილებდა ქალაქის გაზრდილ მოთხოვნილებას. თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქუჩაზე შენდება დუქნები და მაღაზიები. ჩნდება ვაჭრობის ახალი ცენტრებიც. რიონის მარჯვენა ნაპირზე, სადაც დღეს კინოთეატრ „ქრონიკის“ წინ ი. ჭავჭავაძის სკურია მოწყობილი, არსებობდა ე. წ. მეორე ყაფანი. მესხეთის (ნინოშვილის) ქუჩაზე, „დულაძის“ მიწდერის (ნინოშვილის ბაღი) ჩრდილო მხარეს წარმოება მაგარი სასმელებით ვაჭრობა (დღევანდელი II საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორია), ბალახვანის (წერეთლის) და უსახელო (წერეთლის ქ. I შესახვევი) ქუჩების გადაკვეთის ადგილზე, დღევანდელი მე-12 სკოლის პირდაპირ არსებობდა საქონლის ბაზარი.

მთავრობის დაწესებულებები ძირითადად მწვანეყვავილას უბანში იყო განლაგებული. ქუთაისის საგუბერნიო ქალაქად გამოცხადებამდე აქ ცხოვრობდა იმერეთის მმართველი; აქვე, ხის ერთსართულიან სახლში, რომელსაც მდინარის მხრიდან საყრდენი კედელი ჰქონდა მოწყობილი (დღევანდელი სამხედრო კომისარიატის შენობის ადგილზე), ჰქონდა ბინა 50-იან წლებში ქუთაისის გუბერნატორს. ამ შენობიდან აღმოსავლეთით არსებობდა საგუბერნიო კანცელარიისა და საგუბერნიო სასამართლოს შენობები. ეს უკანასკნელი ხისაგან იყო აშენებული და დაიწვა 1849 წელს. (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ქუთაისის ფილიალი, ფ. 108, ანაწ. 1, საქმე 80). 1898-1900 წლებში, ამავე ადგილზე, სამოქალაქო ინჟინერ ფრიკის პრო-



ქუთაისი, ხავარო ცენტრის დასაწყისი ჩაქვის ხილთან

Кутаиси. Начало торгового центра у ценного моста


ექტივით სასამართლოსათვის ააგეს ქვის ორსართულიანი კაპიტალური შენობა (ამჟამად აქ მოთავსებულია სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო).

ე. წ. „არქიელის გორაზე“ თანდათანობით ყალიბდებოდა ქუთაისის „რელიგიური“ ცენტრი. აქ განლაგებული იყო არქიელის სახლი, სასულიერო სასწავლებელი, საეპარქიო კანცელარია.

თუ XIX ს. 40-50-იან წლებში ქალაქი ძირითადად აღმოსავლეთისაკენ მიიწეოდა, 60-90-იან წლებში მისი ზრდა ყველა მიმართულებით წარმოებს, განსაკუთრებით სწრაფად კი — სამხრეთისაკენ, რიონის მარცხენა ნაპირზე, სადაც არის შედარებით სწორი, დასახლებისათვის ვარგისი ტერიტორიები. სულ მცირე დროში ათვისებულ იქნა ნაკვეთები ბალახვანისა და ტფილისის (კირიკის) ქუჩების ტრასებზე. მათ შორის არსებული ტერიტორიის განაშენიანებისათვის გაყავთ ამ ქუჩების შემაერთებელი გზები (თანამედროვე დიმიტროვის, ხახანაშვილის, მიახნიკოვის და სხვა ქუჩები).

ქუთაისის ზრდას აღმოსავლეთისაკენ ძლიერ უშლიდა ხელს ტყე და ბორცვიანი არასწორი რელიეფი. მიუხედავად ამისა, ქალაქის საზღვარი 1872 წ. გადის პოლიციის (ჯაფარიძის) და ტფილისის (თბილისის) ქუჩების გადაკვეთის მიდამოებში. ქალაქის იმდროინდელ გეგმებზე პირველად ჩნდება ქუჩებისა და შესახვევების დანაწევრებული ქსელი. 1820-1834 წლების გეგმებიდან განსხვავებით, აქ შეიძლება გავარჩიოთ უკვე მეორეხარისხოვანი ქუჩები, ბილიკებიც კი, რომელთა ტრასებზე შემდგომში თანამედროვე ქალაქის ქუჩები განვითარდა.





ქუთაისი, საერთო ხედი XIX საუკუნის ბოლოსათვის

Кутаиси, общий вид к концу XIX в.

თუმცა ქალაქი სწრაფად იზრდებოდა, ახალი ტერიტორიების ათვისება ქაოსურად ხდებოდა; ეს პირველ რიგში გამოწვეული იყო ერთიანი განაშენიანება-განვითარების გეგმის უქონლობითა და მცხოვრებთა კერძო მუსაკუთრული ინტერესებით. მიუხედავად არსებული სამშენებლო კანონმდებლობისა, სახლებს ხშირად აშენებდნენ უნებართვოდ, ყოველგვარი გეგმის გარეშე. ამის შედეგად XIX ს. მეოთხე მეოთხედში ქალაქის ბევრი უბანი მჭიდროდ იყო დასახლებული, მაგრამ ქუჩები არ ჰქონდა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ უბანი წყალთაშუა, რომელიც მდებარეობდა ბალახვანში, წისქვილის არხსა და რიონს შორის. როგორც ქუთაისის 1885 წლის 10 აპრილის ერთდღიანი აღწერის მასალებიდან ჩანს, აქ დაგეგმილი იყო ოთხი განივი და ოთხი გრძივი ქუჩის გაყვანა, „მსგავსად ვასილიევის კუნძულისა პეტერბურგში“. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აგრეთვე „სილაზე“ და ქალაქის სხვა უბნებში. არ ხერხდებოდა ისეთი რაიონის რეგულარულად დაგეგმარებაც კი, რომელიც თითქმის დაუსახლებელი იყო. ასე მაგალითად, კერძო მუსაკუთრული ინტერესების გამო არ განხორციელდა ხონის (გორის) და ორპირის (რუსთაველის პრ.) ქუჩების გადაკვეთის დასავლეთით მდებარე ტერიტორიის დაგეგმარების პროექტი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალაქის ხელისუფალნი ითხოვდნენ რუსეთის იმპერატორის სპეციალურ ნებართვას კერძო პირებისათვის იმ მიწების ჩამოსართმევად, რომლებიც ქუთაისში ახალი ქუჩების გასაყვანად იყო საჭირო (ცენტრალური ისტორიული არქივი ლენინგრადში,

ფ. 1287; ანაწ. 40 ს. 2274) მოუწესრიგებელი იყო მდინარის პირას მშენებლობის მთავრობამ ვერ უზრუნველყო მოსახლეობის დაცვა წყალდიდობისაგან, რის გამოც რიონის ადიდებისას ზოგიერთი უბანი ნაწილობრივ წყლით იფარებოდა. მცხოვრებლები იძულებული იყვნენ თვითონ აეგოთ საყრდენი კედლები წყლის შემოჭრისაგან თავის დასაცავად (სციაქფ, ფ. 108, ს. 2495, 1474, 1483 და სხვ.). მოგვიანებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დაადგინა რიონის ნაპირების განაშენიანების წითელი ხაზი (სციაქფ, ფ. 171, ს. 70), მაგრამ მის მოღვაწეობას დიდი პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია.

მიწის ნაკვეთები ქალაქში თითქმის მთლიანად კერძო პირების ხელში იყო. ადმინისტრაციის განკარგულებით ბევრი მათგანი (ქალაქის ცენტრში) დიდგვაროვან თავადებს (აბაშიძეებს, გურიელებს, ბაგრატიონებს) გადაეცა საკუთრებაში (სციაქფ, ფ. 108; ს. 255, გვ. 82). კერძო მფლობელების ხელში დროთა განმავლობაში აღმოჩნდა მიწის სხვა ნაკვეთებიც. 1825 წელს, როცა ქუთაისში მომრავლდა რუსი ჯარების ნაწილები და რუსი მოხელეები, ქალაქს, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, არ ჰქონდა სპეციალური სადგომები მათი ბინებით დაკმაყოფილებისათვის. ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლება ავალბდა მცხოვრებლებს სამხედრო საჭიროებისათვის სახლების აშენებას, რისთვისაც ურიგებდა მათ მიწის თავისუფალ ნაკვეთებს და ნებას აძლევდა სახაზინო ტყეებში უსასყიდლოდ დაეშაადებინათ საჭირო ხე-ტყე; მოგვიანებით, როცა ქალაქში საბინაო გადასახადების სისტემა დაწესდა, მიწები კერძო პირთა საკუთრებაში დარჩა.

მიწების დიდი ნაწილი, XIX საუკუნის დასაწყისში, სამღვდლოების ხელშიც იყო. თანამედროვეთა ცნობით, ნაკვეთის მიღება ადვილი ყოფილა. მიტროპოლიტის სიტყვიერი ნებართვის საფუძველზე კერძო პირები სახლდებოდნენ თავისუფალ მიწაზე, რისათვისაც წელიწადში უმნიშვნელო თანხა უნდა ეხდათ. მოგვიანებით მცხოვრებლებმა უარი თქვეს მათ მიერ დაკავებული მიწები საეკლესიოდ ეცნოთ. ასეთი „ნაძალადევი“ აშენებული სახლები ბევრი იყო ძველი ციხესიმაგრის მიდამოებში, მწვანეკვავილას კონცხის რაიონში და ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ბორცვიან ნაწილში (გოჭოურაში). საინტერესოა გავიხსნათ, რომ 1885 წელს ქუთაისში არსებული 2801 სახლიდან მხოლოდ 11 იყო „სახაზინო“, ამდენივე ეკუთვნოდა ქალაქის თვითმმართველობას, 7-ეკლესიებსა და მონასტრებს. დანარჩენი სახლები კერძო პირთა საკუთრებაში შედიოდა.

დიდი კვალი დაამჩნია ქალაქის დაგეგმვას რკინიგზის გაყვანამ. ფოთი-თბილისის მაგისტრალურმა ხაზმა, როგორც ცნობილია, ქალაქს რამდენიმე კილომეტრით სამხრეთით ჩაუარა და ამის ერთადერთი შედეგი იყო რიონიდან ქუთაისამდე მუხნარის ტყეში გამავალი გზის გაფართოება. მოგვიანებით, 1872-77 წლებში, გაიყვანეს ხაზი—რიონი-ქუთაისი, შემდეგ კი ქუთაისი-ტყიბული (მოძრაობა აქ 1887 წ. გაიხსნა). რკინიგზამ დიდი როლი ითამაშა ქუთაისის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, დააკავშირა ქალაქი საქართველოს უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ქალაქებს, ხელი შეუწყო მისი ეკონომიკის განვითარებას. მაგრამ იმ ფაქტმა, რომ ქალაქი ჩიხში დარჩა, არ მისცა მას საშუალება სრულად გამოეყენებინა სამეურნეო განვითარების ყველა საშუალება.

რკინიგზამ ქალაქის გარეუბანზე, — საფიჩხიასა და ბალახვანზე გაიარა, რამაც ხელი შეუწყო ამ ტერიტორიების ინტენსიურ განაშენიანებას. უკვე 15-20 წლის შემდეგ ეს, თავის დროზე უკაცრიელი ადგილები, მჭიდროდ იყო დასახლებული. საფიჩხი-





ქუთაისი, სათავადაზნაურო (1905 წ.  
რევოლუციის) ქუჩა.

Кутаиси, Княжеская улица (Ре-  
волюции 1905).

ახე ქუთაის-ტყვიბულის რკინიგზის ხაზის გასწვრივ ჩნდება რკინიგზელთა დასახლება. სახლების წინ არსებულმა ბილიკმა დროთა განმავლობაში დღევანდელი ვედოშვილის ქუჩის სახე მიიღო. ამავე პერიოდს ეკუთვნის ამ რაიონში სხვა ქუჩების აღმოცენებაც (მაგალითად, ძერჯინაკის და ერევნის ქუჩები, კიროვის ქუჩის ნაწილი და სხვა).

ქალაქის ტერიტორიაზე რკინიგზის ხაზების გაყვანამ უარყოფითი დალი დაასვა ქალაქის დაგეგმარებას. ლიანდაგების გასწვრივ წარმოებდა ქაოსური, უგეგმო მშენებლობა, იქმნებოდა განაშენიანებისათვის უხერხული უბნები და, რაც მთავარია, ძნელდებოდა კავშირი ცალკეულ რაიონებს შორის.

1875 წლიდან საქალაქო საქმეებს ქუთაისში განაგებდა თვითმმართველობა. მისი უფლებები და საქმიანობის სფერო, ისე როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში, შემოფარგლული იყო წმინდა სამეურნეო საკითხებით (კეთილმოწყობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მრეწველობა და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობას არავითარი საკანონმდებლო ძალაუფლება არ ჰქონდა, მან მაინც გარკვეული როლი ითამაშა ქალაქის ცხოვრებაში. შეძლებისდაგვარად კეთილმოწყობილ იქნა ცენტრალური ქუჩები, ჩატარდა ცდა შორეული გარეუბნების (სადაც მიწები ჯერ კიდევ ქალაქის საკუთრებას შეადგენდნენ) რეგულარულად დაგეგმარებისა. მაგალითად, საფინჩხის სასაფლაოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე გაყვანილ იქნა ურთიერთ-მართობი ქუჩების ქსელი. გზაჯვარედინებზე რელსობეტონის მონოლითები გააკეთეს,



რამაც ხელი შეუწყო ამ ქუჩების წითელი ხაზის დაცვით განაშენიანებას (ახლანდელი ქ. მურცილადისა და მიმდებარე ქუჩების რაიონი). ქალაქის ისტორიაში ეს რეგულარული დაგეგმარების ერთ-ერთი პირველი მაგალითი იყო; რაიონის განაშენიანება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც გრძელდებოდა.

მიუხედავად გატარებული ცალკეული ღონისძიებებისა, ქუთაისი მაინც კეთილმოწყობულ, პროვინციულ ქალაქად რჩებოდა. ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობა თვით ამ ქუჩებზე მცხოვრებთა მოვალეობას შეადგენდა. საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ სავალალო მდგომარეობაში იყო ისეთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზებიც კი, როგორცაა გეგუთის (წულუკიძის) პოლიციის (ჯაფარიძის) და სხვ. თვით ცენტრშიც კი ქუჩების უმეტესობა მოუკირწყლავი იყო. ადვილი წარმოსადგენია მეორეხარისხოვანი ქუჩებისა და შესახვევების მდგომარეობა.

სრულიად მოუწყობელი იყო ქალაქის კომუნალური მეურნეობაც. ქუთაისს არ აქონდა წყალსადენი, კანალიზაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ორი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ანათებდა (და ისიც ნაწილობრივ), მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ უბანს. უსასრობის გამო არ ჩატარებულა ქალაქისათვის აუცილებელი ივერი სხვა სამუშაოც.

XIX ს 50-იან წლებამდე ქუთაისში მხოლოდ ხის სახლებს აშენებდნენ, რაც გამოწვეული იყო როგორც ხე-ტყის სიიარფით, ისე ტრადიციის ძალით. საუკუნის მეორე ნახევარში მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. მრავალრიცხოვანი ტყეები ქუთაისის ჯარშემო თანდათან გაიჩეხა, ხე-ტყის მასალის ფასმა აიწია. ამჟვე დროს ქუთაისის მილამოხეში მუშაობას იწყებს ქვის რამდენიმე კარიერი, ქვა, როგორც სამშენებლო მასალა, საგრძნობლად იაფდება. თუ აქამდე მას ძირითადად იყენებდნენ ოფიციალური ნაშენებლობისათვის, XIX ს. 80-იანი წლებიდან ქვას დიდი გამოყენება აქვს კერძო საცხოვრებელი სახლების მშენებლობაშიც. ფართოდ იხრება თლილი მოვარდისფრო, რუბი, ქარვისებრი, თეთრი ეკლარის ქვა. უკვე 1882-1886 წლებში ქალაქის გამგეობაში წარმოდგენილი 216 პროექტიდან 159 ქვის შენობის აგებას ითვალისწინებდა. ხის სახლების მშენებლობა ძირითადად გარეუბნებში გრძელდებოდა.

წარმოებს როგორც ძველი უბნების (გოჭოურა, ჭომა, მწვანეყვავილა, საფინჩხა და სხვ.), ისე ახალი ტერიტორიების განაშენიანება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კიბულა, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში სოფელს წარმოადგენდა. უბნის განაშენიანებას შეუწყო ხელი გელათისაკენ ახალი გზის გაყვანამ (თანამედროვე შუანიანის ქუჩის გაგრძელებაზე). მოსახლეობას აქ ძირითადად შეადგენდნენ ახლომდებარე სოფლების გლეხები, რომლებიც იჯარით იღებდნენ „სახაზინო“ მიწებს და სახლდებოდნენ ქალაქის განაპირა ბორცვების კალთებზე. დიდ ცვლილებას განიცდის საუკუნის დასასრულს ქალაქის ცენტრიც. დღევანდელი ცენტრალური მოედნის ადგილზე ორი მცირე ზომის საცხოვრებელი უბანი არსებობდა. მათი გამყოფი ქუჩა მთავრდებოდა „ბულვართან“, სადაც დღეს ბაღში შესასვლელი კოლონადაა აღმართული. ჩრდილოეთით მდებარე კვარტალი მოშენებული იყო ძირითადად ერთსართულიანი დუქანდარბებით და სახელოსნოებით. მეორე კვარტალის ტერიტორიაზე XIX საუკუნის დასაწყისში განლაგებული იყო სამხედრო მუშა-ავეული, რომელიც რელიგიური სექტის-საჭურისების წევრებისაგან შედგებოდა. აქ იყო მათი ქოხები და მათი უფროსის, ვინმე კაპიტან ვიტეს ერთსართულიანი სახლი. ამ უბნის შუაში 1852 წ. იწყებენ ტაძრის მშენებლობას, რომელიც მხოლოდ 70-იან წლებში დაუთმავრებიათ. ტაძარი, რომელსაც ხალხმა თავიდანვე „სობორო“ შეარქვა, იმ დროისათვის ქალაქის ერთ-ერთი ყვე-



ლაზე დიდი ნაგებობა იყო (სიგრძე—13 საექნი, სიგანე — 8 საექნი და 12 გოჭი) — ეს იყო გეგმაში სწორკუთხოვანი შენობა, დაგვირგვინებული თორმეტწახნაგა აფრიანი გუმბათით, რომელიც ტაძრის შიგნით სვეტებს ეყრდნობოდა. ტაძარს შესასვლელი სამი წიხრიდან ჰქონდა. დასავლეთით, მთავარი შესასვლელის თავზე, მეორე საართულზე სამრევლო იყო მოწყობილი. შენობა ეკლარის თეთრი თლილი ქვით იყო მოპირკეთებული.

XIX საუკუნის დასასრულის ქუთაისისათვის დამახასიათებელი იყო უსწორ-მას-წორო, ვიწრო ქუჩები, ჩიხების სიმრავლე, უბნების მეტისმეტი დაქუცმაცება, ძველი ამორტიზირებული სახლების დიდი რაოდენობა. მდგომარეობა არც XX ს. პირველ ათეულ წლებში შეცვლილა. მიუხედავად ქალაქის სწრაფი ზრდისა (1913 წელს აქ უკვე 55239 მცხოვრებია), არ იქნა გადაწყვეტილი არც ერთი იმ საკითხთაგანი, რომელთა გადაჭრის აუცილებლობა ჯერ კიდევ XIX ს. 90-იან წლებში იგრძნობოდა (კანალიზაცია, წყალსადენი, ელექტროგანათება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი). არაფერი გაკეთებულა არც მენშევიკების ბატონობის პერიოდში, რომლებმაც ქვეყანა სამეურნეო ნგრევის არენად ატყვეს. მხოლოდ 1921 წლიდან, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, იწყება ქუთაისის ინდუსტრიულ, კეთილმოწყობილ ქალაქად გარდაქმნის პროცესი.



### საკინძისთავების ერთი სახეობის შესახებ

რომაულ ხანაში გავრცელებული კვირისტავის ფორმის მინის ნივთები საკმაო რაოდენობით გვხვდება საქართველოში (სამთავრო, ურბნისი<sup>2</sup>), სომხეთში (გარნისი<sup>3</sup>), აზერბაიჯანში (მინგეაური<sup>4</sup>), ჩრდილო შავი ზღვისპირეთსა და საერთოდ, მთელ რომაულ სამყაროში.

მინის „კვირისტავები“ კონუსის ან წაკვეთილი კონუსის ფორმისაა (ქვედა მხარე სწორია, ბრტყელი, ზედა კი—ამობურცული). შუა ნაწილზე დაყოლებულია ხერხელი, რომელიც ზოგჯერ ძალიან წვრილია (სურ. 1, 2).

აღნიშნული ნივთები დამზადებულია ერთი ან, ხშირად, მინის ორი ძაფისაგან გულაზე დახვევის გზით. ძაფები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიყოფა, თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა ისინი ძნელად შეიმჩნევა. ხშირად, სხვადასხვა სისქის ძაფები ერთმანეთზე დახვევის შედეგად გვაძლევს საფეხურების მსგავს შემკულობას, რაც ზვევიდან დადებული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მინის „კვირისტავები“ გვხვდება როგორც ერთფერი—მწვანე, ლურჯი, ყავისფერი (ზოგჯერ ისინი გამჭვირვალე მინისაა), ასევე სხვადასხვა ფერის მინის ზოლუბით: ყავისფერი და ყვითელი, ლურჯი და ყვითელი, ლურჯი და თეთრი, ყავისფერი და თეთრი. ნივთის ქვედა — ბრტყელ მხარეზე მინის ნაირფეროვნება, ჩვეულებრივ, არ შეიმჩნევა.


„კვირისტავების“ დიამეტრია 18-27 მმ, სიმაღლე — 6-10 მმ.

მართალია აღნიშნულ ნივთებს კვირისტავის ფორმა აქვს, მაგრამ მათი კვირისტავებად გამოყენება ყოვლად წარმოუდგენელია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ზოგ მათგანს იმდენად წვრილი ხერხელი აქვს, რომ მასში თითისტარი ვერ გაეყრებოდა. კვირისტავებად მათ არ მიიჩნევენ მინის ნივთების ისეთი ცნობილი მკვლევარები, როგორც არიან ე. ჰევერნიცი და დ. ჰარდენი.<sup>5</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში მინის „კვირისტავები“ ხშირად ღილებადაა მიჩნეული. ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილ მსგავს ნივთებს ლ. ჭილაშვილი ღილებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ „მათი შემოსვლა-გაყვანება შესაძლებელია დაკავშირებული იყო რომელიღაც ახალი სამოსელის შემოსვლასთან“<sup>6</sup>. მინის „კვირისტავებს“ ღილებად მიიჩნევენ აგრეთვე ბ. არაქელიანი. მისი აზრით, ტანსაცმლის საყვლოზე დამაგრებული ზონარების ბოლოები გაყრილი იყო ნივთის ხერხულში და მხარზე იკვრებოდა ბაბთისებურად, რითაც მაგრდებოდა წამოსასხამი ან სხვა ტანსაცმელი. ღილებად მიიჩნევენ, აგრეთვე, მინგეაურში აღმოჩენილ მინის „კვირისტავებსაც“. ღილებს უწოდებს მათ ზოგიერთი უცხოელი მკვლევარიც.

1972 წელს გამოქვეყნდა ე. ჰევერნიკის ნაშრომი, რომელიც სპეციალურად მიძღვნილია მინის ნივთების ზემოაღნიშნული ჯგუფისადმი. ის მათ უწოდებს კემბტენის ტიპის საკინძისთავებს მათი აღმოჩენის ერთ-ერთი ადგილის მიხედვით<sup>7</sup>.

ე. ჰევერნიკს ნაშრომში მოცემული აქვს მინის „კვირისტავების“ აღწერილობა და კრცვლი მსჯელობა მათ დანიშნულებასთან დაკავშირებით. ავტორის მიერ შეგროვებულია მათგან სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი 274 ნიმუში, მათი შესწავლის შედეგად იგი ადგენს თარიღს (I ს.) და მათი დამზადების ცენტრსაც ვარაუდობს (ნინი



სურ. I

ურბინის გვიანტიკური ხანის სამაროვნის მინის საკინძისთავები.

Стеклiнные головки булавок из Урбинского некрополя поздантичной эпохи.


ან მისი მიდამოები). ნაშრომს დართული აქვს 274 ნიმუშის სია და მათი გავრცელების რუკა. ამ სიაში მოხედა ჩვენს მიერ ე. ჰევერნიკისათვის მიწოდებული ურბინისში აღმოჩენილი მინის „კვირისტავეები“. გარნისში და მინგეჩაურში აღმოჩენილ ნივთებს კი ავტორი, ჩანს, არ იცნობს.

უარყოფს რა აღნიშნული ნივთების კვირისტავეებად გამოყენების შესაძლებლობას, ე. ჰევერნიკი თავის ნაშრომში წერს, რომ თუ მათ გამოვიყენებთ როგორც კვირისტავეებს, მაშინ ისინი უნდა წარმოვიდგინოთ შებრუნებულ მდგომარეობაში, ე. ი. ამობურცული, ორნამენტირებული მხარით დაბლა. ეს კი არაფრით არ არის გამართლებული. ამობურცული მხარე რომ ზედა, გამოსაჩენი მხარეა, ამაზე თვით შემკულობაც მიუთითებს.

ე. ჰევერნიკი ყურადღებას აქცევს, აგრეთვე, მინის ნივთების ზერელესაც — ფიქრობს, ზერელში ძალიან წვრილი ღერო უნდა ყოფილიყო გაყრილი. ავტორის აზრით, თუ ამობურცულ, საბირალური ორნამენტით შემკულ მხარეს მივიჩნევთ ზედა ნაწილად და ღეროს ვივარაუდებთ საკინძის ღეროდ, ადვილად წარმოვიდგენთ კვირისტავეის ფორმის თავიანთ საკინძს<sup>5</sup>. ამგვარად, ე. ჰევერნიკს მინის „კვირისტავეები“ მიიჩნია საკინძისთავებად. მისი აზრის სისწორეში კიდევ უფრო დავრწმუნდებით, თუ განვიხილავთ ურბინისში გვიანტიკური ხანის სამაროვანზე (XV უბანი) აღმოჩენილ მინის „კვირისტავეებს“.

ურბინის სამაროვანზე აღმოჩნდა თორმეტი „კვირისტავეი“. აქედან ხუთი ერთი ფერისაა (მწვანე გამჭვირვალე მინისა — სურ. I<sub>1,3,4,5</sub>; მოყვითალო-მოყავისფრო მინისა — სურ. I<sub>2</sub>), დანარჩენი შვიდი კი შემკულია სხვადასხვა ფერის ზოლებით: ყავისფერი და ყვითელი, ყვითელი და თეთრი, ლურჯი და თეთრი, ლურჯი და ყვითე-





სურ. II  
ურბნისის გვიანბრუნული ხანის სამა-  
როუნის მინის საკინძისთავები.

Стеклнные головки булавок из  
Урбинского некрополя подэнеит-  
ной эпохи.

ლი (სურ. 2). ხუთ მათგანში გაყარილი იყო რკინისა და ბრინჯაოს ღეროები (სურ. I<sub>1,2,5</sub>, სურ II<sub>1,4</sub>). ერთში, რომელიც № 189 სამარხში აღმოჩნდა, გაყარილი იყო ბო-  
ლომობრილი და წვერწაწვეტებული ბრინჯაოს წერილი ღერო, რომელიც, სამწუხა-  
როდ, გაწმენდის შემდეგ დაიშალა (იხ. საინვენტარო დავთარი — ურბნისი № 5,  
ჩნვ. № 1-61: 3494). აქ უდაოდ საკინძთან უნდა გვკონდესა საქმე. თუ სხვა შემთხვე-  
ვაში შერჩენილი ლითონის ღერო აშკარად ვერ მიუთითებს იმაზე, რომ ის საკინძია  
(ლ. ჭილაშვილი სწორედ შერჩენილი რკინის ღეროს მიხედვით ვარაუდობს ლილს),  
№ 189 სამარხში აღმოჩენილი ნივთი უტყუარი ფაქტია კვირისტავის ფორმის თავიანი  
ბრინჯაოს საკინძის არსებობისა. ყველა „კვირისტავი“ წარმოადგენს საკინძისთავს.

ურბნისში აღმოჩენილი საკინძების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომაულ ხანაში  
ხმარებაში ყოფილა როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის საკინძები მინის კვირისტავის ფორ-  
მის თავებით. სამწუხაროდ, ჩვენ მათ წარმომავლობაზე ვერაფერს ვიტყვი, ის კი შე-  
იძლება ითქვას, რომ ზამოაღნიშნული ნივთები საქართველოში შემოტანილი უნდა იყ-  
ოს ტანსაცმელთან დაკავშირებულ სხვა ნივთებთან ერთად.

რაც შეეხება თარიღს, ურბნისის სამაროვანზე ის გვხვდება I-II საუკუნეებით  
დათარიღებულ სამარხებში, უფრო გვიან კი აღარა ჩანს. ასევე I-II საუკუნეებით  
თარიღდება მინგრაქურსა და გარნისში აღმოჩენილი ნივთებიც. ე. ჰევენიკის მიერ  
შემოთავაზებული თარიღი კი, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, I საუკუნეა. ა. ბოხოჩაძის  
ცნობით, I-II საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა კვირისტავის  
ფორმის საკინძისთავები მცხეთაშიც, კარიბჭესთან.

ამრიგად, კვირისტავის ფორმის თავიანი საკინძების გავრცელება ვიწრო ქრო-  
ნოლოგიურ ჩარჩოში -- ახ. წ. I-II საუკუნეებში -- გქცევა. I საუკუნეზე უფრო ადრე  
და II საუკუნეზე უფრო გვიან ისინი ჯერჯერობით არ ჩანს. სწორედ ამიტომ, ვფიქ-

რობთ, ისინი საიმედო ქრონოლოგიურ საყრდენად გამოდგებიან სამარხეული კომპლექსებისა და კულტურული ფენების დასათარიღებლად.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სამთაქროს ფონდი, ივ. №№ 12-54: 9167, 9168, 9989, 10781, 13160, 13255.

<sup>2</sup> ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი, 1964, სურ. 545:

<sup>3</sup> არაქელი ბ. ნ., გარინ პ. ერეანი, 1957, სტრ. 67; არაქელი ბ. ნ., ტირაციი გ. ა., ხაჩატრიან ჯ. დ., სტეკლო ძრევიეი არმენიი (I—IV სს.), ერეანი, 1969, № 152.

<sup>4</sup> კაზიეი ს. მ., ალბომ ხუვიანიი პოგრებენიი, ბაკუ, 1960, სტრ. 26, რან. XI, III.

<sup>5</sup> D. V. Harden, Roman Glass from Karanis Ann Arbor, Michigan, 1936, 295.

<sup>6</sup> ლ. კილაშვილი, დასახ. ნაშრომი, ვვ. 121-122.

<sup>7</sup> E. Haevenick, Nadelkopfe, von Typ Kempten Germania, 50, 1972, 1—2, Halbband, გვ. 136—148.

<sup>8</sup> იქვე.

ლორეა წიბაქაძე  
დავით თუშაბრამიშვილი

### სარაკის ხის ზედაპალოლითური ნაშთები

საქართველოში პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს და კერძოდ იმერეთის ტერიტორიაზე არსებულ პალეოლითელ ადამიანთა ნაბინავრებას.

ცნობილია, რომ პირველყოფილ ადამიანთა ნამოსახლარები და მათ მიერ დატოვებული საყოფაცხოვრებო იარაღები უშუალო კავშირშია იმ დროის რელიეფის, კლიმატის და საერთოდ ცხოვრებისათვის ხელსაყრელ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან. კირქვის ქანებში გამოქვეყნებული მრავალი თავშესაფარი ადგილი მღვიმეებშია და ეხების სახით, სასმელი წყლისა და იარაღების დასამზადებელი ნედლეულის სიუხვე, ნადირობისა და მეთევვეობისათვის ხელშემწყობი პირობები (მდინარეები, ტყეები), უძველესი დროიდან ხელსაყრელს ხდიდა ამ მხარეს პირველყოფილი ადამიანის დასახლებისათვის.

იმერეთის ტერიტორიაზე ქვის ხანის ძეგლების ინტენსიური კვლევა-ძიება, მხოლოდ XX საუკუნის ოციან წლებში დაიწყო. ახალი ძეგლების (ხერგულის კლდე საკაქია, დევის-ხერელი, მღვიმევი) კვლევა-ძიებასთან ერთად ხდება მანამდე მოპოვებული მასალის მეცნიერული შესწავლა-განზოგადება (მ. ნიორაძე, ს. ზამოატინი, ნ. ბერძენიშვილი, დ. თუშაბრამიშვილი და სხვა).

ზემოაღნიშნული ყველა ძეგლი ზედაპალოლითის ეპოქას მიეკუთვნება. ქვედაპალოლითური ძეგლები უკანასკნელ დრომდე იმერეთის ტერიტორიაზე ცნობილი არ ყოფილა!

ამ ხარვეზების შესავსებად 1957 წლიდან, მეტად ნაყოფიერად მუშაობს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით.

ზემოაღნიშნული ექსპედიციის მიერ საძიებო გათხრითი სამუშაოები ძირითადად ძიმდინარეობს ჭიათურის რაიონში, მდ. ყვირილასა და მის შენაკადთა ხეობებში. 1957 წლიდან ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა დღემდე უცნობი ბევრი ძეგლი და მოპოვებული იქნა, როგორც ძველი, ისე ახალი ქვის ხანის მეტად საყურადღებო და მრავალფეროვანი მასალები.

ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილ პირველყოფილი ადამიანების ადგილსამყოფელთა შორის, ვფიქრობთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა განეკუთვნოს მდ. ჯრუჭულას ხეობაში 1959 წ. მიკვლეულ ე. წ. სარეკის ეხს<sup>2</sup>.

ეხი მდებარეობს მდ. ჯრუჭულას მარცხენა ნაპირზე, სოფ. სარეკის ტერიტორიაზე, მდინარის დონიდან 15 მ სიმაღლეზე.

მდ. ჯრუჭულა ყვირილას მარჯვენა შენაკადია; ყვირილა კი ტიპური მთის მდინარეა; იგი სათავეს იღებს წონისა და ერწოს ქვაბულის რაიონში, რაჭის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ კალთაზე, მიედინება ვიწრო და ტყიან ხეობაში. იერთებს ძირულას და გადის კოლხეთის დაბლობზე, სადაც ერთვის რიონს<sup>3</sup>. მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადის, ჯრუჭულას სათავე კი მდებარეობს რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე მწვერვალ ხიხათას აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარის კალაპოტი ყველაგან

ქარგვალთაა წარმოდგენილი. სათავის რაიონში გავრცელებულია ზედაცარცის სქელი შრეობრივი კირქვები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კაჟის კონკრეციებს, რაც მეტად ხელმისაწვდომი იქნებოდა ჯრუჭულას ხეობაში მცხოვრები ადამიანებისათვის.

მდ. ჯრუჭულა მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მისი საერთო სიგრძე დაახლოებით 30 კილომეტრია<sup>1</sup>.

არქეოლოგიური გათხრები სარეკის ეხში (იხ. გეგმა) მიმდინარეობდა 1959-1960 წწ.<sup>2</sup> აღნიშნულ წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გათხრილი და შესწავლილია დაახლოებით 8 კვ. მ. ფართობი. მიუხედავად ამისა, — აქ აღმოჩენილმა დღემდე უცნობმა კულტურულმა ნაშთებმა უნდა მოიპოვონ გარკვეული ქრონოლოგიური ადგილი ამ მხარის პირველყოფილი ადამიანის განვითარების ისტორიაში. ვფიქრობთ, რომ საქართველოს პალეოლითურ ძველთა ქრონოლოგიურ სკალას მიემატება კიდევ ერთი ნაბიჯარი, რომელიც მუცნიერებას შესძენს ზედმეტ საყრდენ მასალას ქვის ხანის ადამიანთა ყოფაცხოვრებისა და საწარმოო ჩვევა-გამოცდილებათა გასაშუქებლად.

სარეკის ეხში არსებული ფენების სტრუქტურული სურათი შემდეგია, ზემოდან ქვემოთ:

1. ზედაპირული ნაცროვანი ღორღოვანი ფენა, 5 სმ სიმძლავრის, ფენაში გვხვდება გვიანი ხანის კერამიკის ფრაგმენტები;
- II. მშრალი თიხები, კირქეული ღორღის მცირე ჩანართით, პალეოლითური ნაშთების შემცველი. სისქე 15-20 სმ.

### კირქვის დედაქანი


აღწერიდან ჩანს, რომ სტრატეგრაფია საკმაოდ მარტივია. სარეკის ეხში აღმოჩენილ ნაშთების ძირითად კომპლექსს კაჟის ინვენტარი წარმოადგენს. კაჟის შუა იარაღებთან ერთად დიდი რაოდენობითაა შემონახული წარმოების ნაშთები. საიარაღო მასალად, კაჟთან ერთად, გამოყენებულია ოხსიდიანი. ქვის ინვენტართან შედარებით მცირე რაოდენობით აღმოჩნდა მეოთხეულის ცხოველთა და ფრინველთა ძვალი<sup>3</sup>. ჩანს მშრალ ღორღოვან ფენაში ძვალი კარგად ვერ შემონახა და დაიშალა. ვფიქრობთ, ამავე პირობებს უნდა მიეწეროს ფენაში ძვლის იარაღების არ არსებობაც.

მიუხედავად აქ აღმოჩენილი მასალის სიმცირისა, მისი ხასიათი და თვით იარაღთა ცალკეული სახეები, წარმოდგენას გვიქმნის, სარეკის ფარდულში მცხოვრებ ადამიანთა განვითარების დონეზე და მათ საყოფაცხოვრებო საქმიანობაზე.

კაჟის ქვიხა და ოხსიდიანის დამუშავება (როგორც პირველადი, ისე მეორადი) ხდებოდა ადგილზე, რაზედაც მიუთითებს ეხში, არსებული წარმოების ნაშთების, ანამტვრევ-ანატკეციების და ქერცლის მაგვარი ანატკეციების სიმრავლე. კულტურულ ფენაში აღმოჩენილ იარაღ-ხელსაწყოებს, მასალის საერთო რაოდენობასთან (794 ც.) შეფარდებით 9,7% უკავია; დანარჩენი 90,3% კი წარმოების ნაშთებია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კაჟის ინვენტარის ერთი ნაწილი წარმოების გადანაცარს განეკუთვნება, ასეთია: ნუკლეუსები, ანამტვრევ-ანატკეციები, ნუკლეუსის გვერდის ან თავის ანატკეციები და სხვ.

ნუკლეუსები (5 ცალი) ძირითადად ორი ტიპისაა, პრიზმისებური და კონუსური.



გეგმა  
ტაბულა I

План  
таблица I

სრულიად არ გვხვდება მეზოლითური და უფრო მოგვიანო ეპოქისათვის დამახასიათებელი ფანქრისებური ნუკლეუსები. პრიზმისებური ნუკლეუსები რამდენადმე განასხვავდება ერთმანეთისაგან: ერთ მათგანს თუ დარტყმის მოედანი ორივე მხრივ პორიზონტალური აქვს, დანარჩენების დარტყმის სიბრტყე ირიბი მიმართულებისაა, ფირფიტები ატყეცილი აქვთ უმეტესად ერთი მხრით. ნუკლეუსების სიგრძე 3-5 სმ შორის მერყეობს, მსგავსი ნუკლეუსები დამახასიათებელია საქართველოს თითქმის ყველა ზედაპალეოლითური ხანის ძეგლებისათვის.


ანატრევე-ანატრევეები (514 ცალი, ტაბ. I სურ. 1) სხვადასხვა ფორმისაა. უმრავლესობას ეტყობა დარტყმის სიბრტყე და ატყეცის ბურცობი. მათი გვერდები უსწორმასწორო მოყვანილობისა, მაგრამ საკმაოდ ბასრია და არ ეტყობათ გამოყენების კვალი.

ფენაში საკმაო რაოდენობით გვხვდება, კაჭარის გათლის შედეგად მიღებული ანატრევეები, რომელთაც შერჩენილი აქვთ ბუნებრივი ქერტი. ეს ანატრევეები მიღებულია კაჭარის ნუკლეუსად მოშაადების პროცესში. მათი ზომები 4-7 სმ შორის მერყეობს.

ლამელები სულ 200 ცალია (ტაბ. 1, სურ. 2-6), ისინი ხასიათდება ფორმების მრავალნაირობით, მათი უმრავლესობა სამი ან ოთხფერდაა, ძირითადად ხასიათდებიან სწორი პარალელური გვერდებით, დაბალი წიბოებით, უმნიშვნელო სიდიდის დარტყმის მოედნით და შესაბამისი ბურცობით. დარტყმის სიბრტყის სიპატარავე და თვით ლამელების სიფაქიზე გვაფიქრებინებს, რომ ეს ლამელები ნუკლეუსიდან ატყეცილია წნევის საშუალებით. ყველა ამ ნიშნების მიხედვით ისინი ემსგავსებიან ტიპურ ზედაპალეოლითურ ლამელებს. ამავე დროს, განსხვავებულნი ჩანან მეზოლითურ კომპლექსებში არსებულ ლამელებისაგან, შემოადინებულ ნიშანთა ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს სარკეის ებში აღმოჩენილი ლამელები უფრო ზედაპალეოლითური (დევის ზერელი, საკაია, მღვიმევი) ძეგლებისათვის დამახასიათებელ ლამელებს დაუახლოვოთ.

სარკეის ებში წარმოების ნაშთებთან ერთად გვხვდება იარაღებიც, აქედან ყველაზე დიდი რაოდენობითაა შატელპერონისმაგვარი წვეტანები (32 ც) და საფხეკები (27 ცალი). სარკეის ფარდელის იარაღთა კომპლექსები არ არის მოკლებული იარაღთა სხვა სახეებსაც. ასეთებია: გვერდრეტუშირებული ლამელები (3 ცალი), სახვრეტები (7 ცალი) და საჭრისები (5 ცალი).

უკვე აღვნიშნეთ, რომ სარკეის ების კაეთს იარაღების ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ ე. წ. „მშვილდწვეტები“ (ტაბ. 1, სურ. 1-15). აღნიშნულ იარაღებს ერთი გვერდი რკალისებურად აქვთ მოხრილი და მთლიანად დაბლაგვებული რეტეკით, ხოლო მეორე—საკმაოდ თხელი და ბასრი. მსგავს იარაღებს პროფ. გ. ნიორაძე შატელპერონის ტიპის მშვილდწვეტებს უწოდებს.<sup>7</sup> ჩვენნი აზრით კი, ეს იარაღები რამდენადმე განასხვავებულია პალეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელ მსგავსი ფორმის, ე. წ. შატელპერონის იარაღებისაგან. სარკეში აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღები შედარებით მცირე ზომისაა, უფრო ვიწრო, წაგრძელებულია და უახლოვდება უბში ფორმის გვერდრეტუშირებულ ლამელებს. საფიქრებელია, რომ ეს იარაღები ძირითადად დანის დანიშნულებას ასრულებდნენ, ამავე დროს შესაძლებელია ისინი სახვრეტ თუ სატყორც იარაღებადაც ყოფილიყვნენ გამოყენებული. მსგავსი იარაღები საკმაო რაოდენობით გვხვდება დევის ზერელში<sup>8</sup>, საკაიაში<sup>9</sup> და ძლიერ მცირე რაოდენობით გვარჯილას კლდეში. უფრო გვიან დროით დათარიღებულ ძეგლებში, კერძოდ ქვაჭარაში, ჯამპალაში, აციში, ცივ-მღვიმეში კი სრულებით არ ჩანს. ამასთან



ტაბულა II

таблица II

დაკავშირებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მიკროლითური ტექნიკის განხორციელება  
რებასთან დაკავშირებით, როდესაც პირველყოფილი ადამიანის საყოფაცხოვრებო  
საქმიანობაში თანდათანობით იზრდება რთული შედგენილი სახის იარაღის შექმნის  
მოთხოვნილება, შესაძლებელია ამ იარაღებმა განიცადეს სახეცვლილება და მათგან  
განვითარდა სვემენტის მავარი იარაღი.

ზემოაღნიშნული იარაღების შემდეგ, სარკის ფარდულში ყველაზე დიდ ჯგუფს  
საფხეკები (27 ცალი) წარმოადგენენ (ტაბ. 11, სურ. 8-14). ისინი ტიპობრივადაც  
მრავალნაირია და თვით იარაღთა სახეობაც სერიულია. ნაშაადის სახისათვის მიხედ-  
ვით კი საფხეკები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ანამტერეე-ანატეკეებზე ნაკეთები  
იარაღები (8 ცალი) და ლამელზე ნაკეთები იარაღები (19 ცალი). თავისთავად  
იარაღები, ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით შეიძლება დაგვით სხვა-  
დასხვა ტიპებად. აქ გვხვდება შემდეგი სახის საფხეკები: ბოლოკიდურა, ფრჩხილი-  
სებური, ორმაგი (დუბლირებული) გვერდამოლარული). ამ იარაღთა შორის რაოდენობ-  
რივად სჭარბობს ბოლოკიდურა (9 ცალი). მსგავსი იარაღები დამახასიათებელია ზე-  
დაპალეოლითურ ძველებისათვის (დევის ხვრელი, საკაჯია, გვარჯილას კლდე) და  
სრულიად არ გვხვდება მეზოლითური დროით დათარიღებულ ძველებში.

მშვილდწვეტებთან და საფხეკებთან შედარებით მცირე რაოდენობითაა საჭრისე-  
ბი (ტაბ. 11, სურ. 15, 16), მაგრამ მათ შორისაც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე  
ტიპი: შუალა, ხიწვიანი, ირბი, მრავალფაფეტიანი; მსგავსი საჭრისები ზედაპალეო-  
ლითის განვითარების მთელ სიგრძეზე გვხვდება და თავის არსებობას აგრძელებს მე-  
ზოლითშიც, მაგრამ ზედაპალეოლითური მრავალფაფეტიანი საჭრისები უფრო უხვშია  
და დიდი ზომის ანატეკეებზეა დამზადებული, ვიდრე გვიანი დროისა.

სახეურტებად ძირითადად გამოყენებულია თავწაწვეტილი ლამელები, რომელ-  
თაც სამუშაო წვერი ჩამოყალიბებული აქვთ რეტუმის საშუალებით, ზოგი ლამელის  
გვერდ დაბლაგვებულია რეტუმით. სარკის ებში აღმოჩენილი სახეურტებიდან გან-  
საკუთრებით ყურადღებას იცქევს ერთი იარაღი (ტაბ. 11, სურ. 17). იგი დამზადე-  
ბულია საკმაოდ დიდი ზომის ორფერდა ლამელისებურ ანატეკეზე. სამუშაო წვერი კი  
გამოყვანილი აქვს რეტუმით. რეტუმზე შეიმჩნევა იარაღის ერთ სიგრძივ გვერდზე-  
დაც. იგი შეიძლება გამოყენებულიყო, როგორც სახეურტ, ისე საჭრულ იარაღადაც.

სარკის ებში გვხვდება აგრეთვე რამდენიმე ცალი გვერდრეტუმირებული ლამე-  
ლა (ტაბ. 11, სურ. 4-7). ეს იარაღები ჩამოყალიბებულია 3-5 სმ სიგრძის, ორ ან  
სამფერდა ლამელზე, რომელთა ერთი გვერდი მოლიანად რეტუმირებულია, ხოლო  
მეორე გვერდი კი საკმაოდ თხელი და ბასრია.

ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი იარაღი უმეტესად დამუშავებულია დამაბლაგვე-  
ბელი რეტუმით, ერთეულების სახით გვხვდება, აგრეთვე წმინდა, მძივისებური რე-  
ტუმით დამზადებული იარაღებიც.

სარკის ებში აღმოჩენილ იარაღთა სახეობის განხილვიდან ჩანს, რომ მიკრო-  
ლითური ტექნიკა აღნიშნული ძველისათვის არ არის დამახასიათებელი, აქ არ გვხვდე-  
ბა გვარჯილას კლდის ტიპის „ისრისპირები“, გეომეტრიული ფორმის იარაღები,  
რომლებიც გვარჯილას კლდეში, ქვაჭარაში და სხვა ფინალური ზედაპალეოლითით.  
და მეზოლითით დათარიღებულ ძველებში დამახასიათებელ ტიპებად გვევლინებიან.  
სამაგიეროდ სარკის ებში საკმაოდ მრავლადაა ზედაპალეოლითური ეპოქისათვის  
დამახასიათებელი ფორმები, როგორცაა მრავალფაფეტიანი საჭრისები, მშვილდწვე-  
ტები და სხვ.





ამრიგად, ყოველივე შემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დაემატებოდეს სარკეის ეხი ცალკეულ იარაღთა ტიპების და დამუშავების ტექნიკის ხასიათის მიხედვით ყველაზე ახლო დგას საქართველოს ზედა პალეოლითის შუა საფეხურით დათარიღებულ საკაეიას მღვიმის მასალებთან, რაც ჩვენი აზრით, მათ ერთდროულობას უნდა გვანიშნებდეს.

<sup>1</sup> დ. თუშაბრაშიშვილი, "ჩრეულის ხეობის გამოქვაბულები, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები", ტ. 1, 1963, გვ. 1.

<sup>2</sup> დ. თუშაბრაშიშვილი, შუა კავკასიის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის ყვირილის რაზმის შიგერ 1959 წ. ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წ. შედეგებისადმი, თბილისი, 1960 წ. გვ. 14.

<sup>3</sup> Л. А. Владимиров, Режим стоки рек Верхней Имерети. вახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. X, თბილისი, 1958, გვ. 123.

<sup>4</sup> მ. ტინტილოზოვი, ჩრეულის ხეობის კარსტული მღვიმეები, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, ტ. 1, თბილისი, 1953, გვ. 65.

<sup>5</sup> დ. თუშაბრაშიშვილი, ჩრეულის ხეობის გამოქვაბულები, ტ. I 1963, გვ. 178.

<sup>6</sup> პალეონტოლოგ ა. ვეკუას შიგერ დადგენილია ცხოველთა შემდეგი სახეები: დომბა, შველი, ტახი, მურა დათვი, კვრჩხა, ტუის კატა, კეთილშობილი ირემი, კავკასიის ყიხვი.

<sup>7</sup> გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევის ხერულში, თბ. 1933, გვ. 55.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაეიას გამოქვაბულში, თბ., 1953, გვ. 78.



**მიღებული საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის  
საზოგადოების V ყრილობის მიერ**

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების V ყრილობამ მოისმინა რა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ანგარიში 1969-1974 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ, აღნიშნავს — საანგარიშო პერიოდში საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლინების, დაცვის, შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში, ამ მნიშვნელოვან ღონისძიებებში რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ნაწილის ჩაბმისათვის.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მუშაობის უკეთ წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქონდა — საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებებს, რომლებშიც აისახა როგორც დადებითი, ასევე ნაკლები მხარეები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების მეცნიერულ შესწავლაში და მოვლა-დაცვაში გვხვდება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების დაზიანება-დანგრევისათვის პასუხისმგებლობის გაზრდის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინდივიდუალურ წევრთა რაოდენობამ 600 ათასს მიაღწია, გაიზარდა კოლექტიურ წევრთა რიცხვიც.

ადგილებზე, პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანოების აქტიური დახმარებით საზოგადოების საქმიანობაში ინდივიდუალურ წევრთა მიზიდვა და მათთან მუშაობა კარგად წარმართეს კასპის, სიღნაღის, წყალტუბოს, მცხეთის, გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ზესტაფონის, ჩხოროწყუს, ბორჯომის, ბოგდანოვის, ასპინძის, ქ. თბილისის — ლენინის, კალინინის, ოჯონიკიძის, ოქტომბრის, პირველი მაისის და სხვა რაიონულმა საბჭოებმა; ქუთაისის, გორის, ჭიათურის, ზუგდიდის, რუსთავის, ფოთის საქალაქო საბჭოებმა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უწყება და ორგანიზაცია ჯერ კიდევ თავს იკავებს საზოგადოების კოლექტიური წევრობისაგან და მათთან დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს უკრძალავს საზოგადოების კოლექტიურ წევრობას, საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ და ორგანიზაციებმა წარმატებით გაართვეს თავი აიძვლებს, კოლექტიური საწევრო გეგმები საანგარიშო პერიოდში თითქმის ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდებოდა.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ და მისმა პრეზიდიუმმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლინების, მეცნიერული შესწავლის, დაცვისა და აღდგენა-განაგებების მიზნით. სამუშაოები ჩატარდა ისეთ მნიშვნელოვან კულტურის ძეგლებზე როგორცაა სვეტიცხოველი, ბიჭვინტა, მანგლისი, სვანეთი და სამხრეთ-ოსეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები და სხვ.

სარესტავრაციო გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებასთან ერთად საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი ცდილობდა კულტურის ძეგლები ჩაეყენებინა საზოგადოების სამსახურში — ბიჭვინტაში, გრემში გაგრაში გა-

ფართოვდა სამუზეუმი საქმიანობა, საზოგადოება დადებითად შეხვდა თბილისში, ქუჩის ტაძარში ახალგაზრდული თეატრის და ლურჯ მონასტერში ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის გახსნას.

მნიშვნელოვანი ძეგლების უმრავლესობაზე სამუფოდ მიმაგრებულია პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც უვლიან მათ.

საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი მოწონებით შეხვდა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივას კულტურისა და ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის შექმნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მისი შექმნიდან არც თუ დიდი ხანია გასული მან უკვე სერიოზული ნაბიჯები გადადგა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლინებასა და მოვლა-დაცვის საქმეში ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის ჩაბმისათვის.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და მისი პრეზიდიუმი სისტემატურად ეწეოდა კულტურის ძეგლების დაცვის პროპაგანდას. რაიონებში და პირველად ორგანიზაციებში იკითხებოდა ლექცია-მოსხენებები ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ; საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავა მიეძღვნა არა ერთი სამეცნიერო სესია, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ჩვენი ცნობილი მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწეები თბილისიდან, ასევე ადგილობრივი სპეციალისტებიც. მოეწყო გამსულელი სამეცნიერო სესიები ბათუმში, ახალციხეში და სხვ. საანგარიში პერიოდში ძეგლთა დაცვის პროპაგანდას ეწეოდა რესპუბლიკის პრესა, რადიო, ტელევიზია.

საზოგადოებამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საგამომცემლო საქმეში. ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამოიცა ფოტოილუსტრირებული ალბომები, ფოტო ღია ბარათები, ცალკეული მონოგრაფიები საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ორგანოს კრებულ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგიის ნაყოფიერი მუშაობა. საანგარიშო პერიოდში გამოიცა კრებულის 16 ნომერი. კრებულში ფართოდ აისახა საქართველოს ხუროთმოძღვრების არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთაც გარკვეული როლი ენიჭება საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის კვლევის გასაქმებაში.

კრებულში ფართოდ დაეთმო ადგილი ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საკვანძო საკითხებს, ძეგლთა მოვლა-დაცვის მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ კრებულ „ძეგლის მეგობრის“ მოღვაწეობას შეეხო და დადებითად შეაფასა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორგანომ «Советская археология».

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების საქმიანობაში იყო მნიშვნელოვანი ხაკლოვანებებიც. რეგულარულად არ ტარდებოდა ძეგლთა დაცვის საბჭოს სხდომები, ჯერ კიდევ ვერ შეეძლოთ, რომ ყველა პირველადი ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობდეს ძეგლთა დაცვისა და მოვლა პატრონობის საქმეში. სამუფოდ მიმაგრებული პირველადი ორგანიზაციების საქმიანობა ზოგ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვერ განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები საგამომცემლო საქმეში, ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ.

მატერიალური კულტურის ძეგლებით მდიდარი საგარეჯოს და მესტიის რაიონუ-

ლი საბჭოები სრულ უმოქმედობას იჩენენ. არ ტარდება ძეგლებზე ექსკურსიები, მუზეუმები, არ სრულდება ფინანსური გეგმა.

გამომდინარეობს რა ზემოაღნიშნულიდან, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების V ყრილობა ადგენს:

1. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მუშაობა საანგარიშო პერიოდში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

2. დავალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულ, საქალაქო და საოლქო საბჭოებს, იბრძოლონ ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთა ზრდისათვის, თავის რიგებში გააერთიანონ მოსახლეობის ყველაზე აქტიური ნაწილი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოების ამოცანების გადაჭრაში. დაწესდეს კონტროლი, თუ როგორ უძღვებიან ძეგლებზე შეფობას პირველადი ორგანიზაციები, სისტემატურად ისმენდნენ რაიონულ, საქალაქო და საოლქო საბჭოების პრეზიდიუმის სხდომებზე პირველადი ორგანიზაციების ანგარიშებს.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები და ცალკეული ენთუზიასტები აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ საზოგადოების საქმიანობაში, ქართული კულტურის ძეგლების მფარველობის, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები გამოყენებული უნდა იქნეს ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული და ესთეტიკური აღზრდისათვის.

საზოგადოების პირველადმა, რაიონულმა, საქალაქო და საოლქო ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ძეგლების გამოყენების, აღრიცხვისა და მოვლა პატრონობის საქმეს, რათა მზრუნველი ხელის გარეშე არ დარჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი კულტურის ძეგლი.

მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ და აქტიურად ითანამშრომლონ საქ. ალკკ რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებთან შექმნილ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის კომისიებთან.

3. დავალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს და მის პრეზიდიუმს ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მატერიალური კულტურისა და ეთნოგრაფიული ძეგლების, ისტორიულ-რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილების გამოვლინებას, შეცნირულ შესწავლას და აღდგენა-გამაგრებას.

სწავლობდეს და პერიოდულად ისმენდეს პრეზიდიუმის სხდომებზე ცალკეული რაიონების ანგარიშებს. სათანადო სამეცნიერო ორგანიზაციებთან ერთად გეგმავს მათგან და აწყობდეს ნაკლებად ნობილი და შეუსწავლელი ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიული ძეგლების გამოვლინებას, შესწავლას და აღვილზე დაცვას.

მეტი საზოგადოებრივი კონტროლი დაწესდეს იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც სამსახურებრივად რაიმე კავშირი აქვთ მატერიალური კულტურის ძეგლებთან, რათა ხდებოდეს კულტურის ძეგლთა მიზანშეწონილად გამოყენება, აქტიურად ამხელდნენ მათდამი უდიერი დამოკიდებულების ფაქტებს.

მეტი ყურადღება მიექცეს მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების შესრულების ხარისხს და მეცნიერულ ღონეს.

4. დავალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს გააუმჯობესოს კულტურის ძეგლების შესახებ მეცნიერული პროპაგან-



და, მეტი რაოდენობით გამოსცეს მეცნიერული და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, ფოტოლიუსტრირებული ალბომები, ღია ბარათები, უკანასკნელი ძირითადად იყიდებოდა უშუალოდ ძველებთან.

იბრძოლონ საზოგადოების სამეცნიერო-პოპულარულ კრებულ „ძველის მეგობრის“ ტირაჟის გაზრდისათვის, დააყენონ ზემდგომი ორგანოების წინაშე საკითხი მასზე ხელმოწერის დაშვების შესახებ.

დაევალოს კრებულ „ძველის მეგობრის“ რედაქციას მეტი ყურადღება მიაქციონ მატერიალური კულტურის ძეგლების შეახებ შემოსულ მასალებს, ადგილებზე საზოგადოებრივ საწყისებზე იყოლიონ კორესპონდენტები, შემოიკრიბონ ავტორთა ფართო აქტივი.

დაევალოს რესპუბლიკურ საბჭოს მოაწიოს ძეგლებზე გამოფენები, ჩატაროს ლექციები, კონფერენციები, საზოგადოების შტატის მუშაკებისა და აქტივისათვის სემინარები, მეთოდური ხასიათის შეკრებები და სხვა.

გაეშალოს სოციალისტური შეჯიბრება საოლქო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებს შორის, ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს კონკურსი პირველად ორგანიზაციებს შორის.

5. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების V ყრილობა ავალებს რესპუბლიკურ საბჭოს მეტი ყურადღება მიაქციოს მნიშვნელოვან მატერიალურ კულტურის ძეგლებზე გამოფენა-მუზეუმების მოწყობას, ხუროთმოძღვრების ძეგლთა მიზანშეწონილად გამოყენების საკითხს. შეიმუშაოს გზები და საშუალებები ძეგლების პართული კულტურის პროპაგანდის კრებად გადაქცევისათვის.

დაწესდეს საზოგადოებრივი კონტროლი კულტურის ძეგლების მცველთა საქმიანობის, მათი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად მოეწყოს მათთვის ზონალური შეკრებები და სემინარები.

ქართული მატერიალურა კულტურის ძეგლების მოვლა-დაცვისა და პროპაგანდის ელემენტების მიზნით საზოგადოება „ცოდნის“ გამოგეობასა და „ინტურისტთან“ ერთად დაინახოს ღონისძიებები ლექციური პროპაგანდის გაფართოებისა და ტურისტთა მომსახურების საკითხებზე.

6. ფიზიკოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

უმნიშვნელოვანეს მატერიალურ კულტურის ძეგლებთან დაწესდეს მილიციის საგუშაგოები. დაისვას საკითხი არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინებული ძეგლების მეცნიერული დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

7. დაევალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს და მის სარევიზიო კომისიას გააუმჯობესონ მუშაობა რაიონულ, საქალაქო და საოლქო სარევიზიო კომისიებთან, რათა ისინი ახორციელებდნენ კონტროლს საზოგადოების ორგანიზაციულ, და ფინანსურ საქმიანობაში.

8. ეწყობოდეს კონკურსები პართული მატერიალური კულტურის ძეგლების პროპაგანდისა და მოვლა პატრონობის ამაღლებისათვის, აქტივისტიებისა და სპეციალისტებისათვის პერიოდულად აწყობდეს მივლინებებს სსრკ მოკავშირე რესპუბლიკებსა და მომწე სოციალისტურ ქვეყნებში.

9. დაევალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსა და მის პრეზიდიუმს მტკიცედ დაიცვან საბჭოსა და პრეზიდიუმის წიწვევის ვადები.



რესპუბლიკური საბჭოს სხდომების მოწვევა ხდებოდა წელიწადში ორჯერ, ერთ-ერთი საბჭოს პრეზიდიუმისა სამ თვეში ერთხელ.

10. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების V ყრილობას მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს ცვლილებები საზოგადოების წესდების შესამე თავის პეტხრე მუხლში. ცვლილებების შემდეგ იგი წაიკითხება შემდეგნაირად: „საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მუშაობას ხელმძღვანელობს 3-7 კაციდან შემდგარი საბჭო, რომელსაც ირჩევს საერთო კრება ერთი წლის ვადით, ხოლო საბჭო კი ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს“.

მოხდეს ცვლილება აგრეთვე IV თავის 28 მუხლის დ) ნაწილში, რომელიც ცვლილების შემდეგ წაიკითხება შემდეგნაირად:

დ) ინდივიდუალური პირების შესატანისაგან, რომლებიც ყოველწლიურად ძეგლების შესაკეთებლად საზოგადოების ანგარიშზე შეიტანენ თვიური შემოსავლის გარკვეულ ნაწილს.

აგრეთვე ცალკეული ორგანიზაციებისა და საეკლესიო შემოწირულობისაგან რომელიც გამოიყენება მხოლოდ ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლისა და აღდგენა-გამაგრებისათვის“.

ამ ღონისძიებების შესრულების შემოწმება ხდებოდა პერიოდულად.

\_\_\_\_\_



ს ა მ რ თ ვ ე ლ ო ს კ უ ლ ტ უ რ ი ს ქ ე გ ლ თ ა დ ა ც ტ რ ი ს  
ს ა ზ ო გ ა დ ო მ ბ ი ს კ რ ა ზ ი დ ი უ მ ი

1. აბაშიძე ირაკლი ბენარიონის ძე — პოეტი აკადემიკოსი.
2. ამირანაშვილი შალვა იასონის ძე — აკადემიკოსი.
3. ბერიძე ვახტანგ ვუკოლის ძე — აკადემიკოსი, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.
4. ბაქრაძე უჩა სერგოს ძე — სახვითი ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი.
5. ბუხნიკაშვილი კარლო გრიგოლის ძე — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.
6. ზაქარიაშვილი ირაკლი დავითის ძე — პრეზიდიუმის სწავლული მდივანი.
7. თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის ძე — საქ. სსრ კულტურის მინისტრი.
8. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — აკადემიკოსი.
9. ლორთქიფანიძე ოთარ დავითის ძე — პროფესორი, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.
10. ლორთქიფანიძე მარიამ დავითის ასული — პროფესორი.
11. მატარაძე ლევან ნიკოლოზის ძე — „ინტურისტის“ სამმართველოს უფროსი.
12. რჩეულიშვილი ლევან დიმიტრის ძე — პროფესორი.
13. სანებლიძე ოთარ ვლადიმერის ძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, პრეზიდიუმის თავმჯდომარის განთავისუფლებული მოადგილე.
14. ფერაძე თენგიზ გიორგის ძე — საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე.
